დაუცველობის გამოვლენა



მოწყვლადობის გამოვლენა:

დეზინფორმაციის შესწავლა სამცხე-ჯავახეთში

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი – საქართველო

2024 წლის მარტი

CRRC GEORGIA | CAUCASUS RESEARCH RESOURCE CENTER

IMS
GOOD JOURNALISM | BETTER SOCIETIES

სარჩევი

შესავალი 3

პოლიტიკური კონტექსტი ქვეყანასა და რეგიონში 3

მედია კონტექსტი ქვეყანასა და რეგიონში 4

მეთოდოლოგია 6

მიგნებები 7

ანტიდასავლური განწყობების გაღვივება 8

ძირითადად რომელ საინფორმაციო მედია საშუალებებს მოიხმართ? ეს მედია საშუალებები ადგილობრივია თუ უცხოური? გთხოვთ, დამისახელოთ ის წყაროები, რომლებსაც რეგულარულად იყენებთ 9

თქვენი აზრით, რა არის ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის პოლიტიკის მიზნები საქართველოში? 11

რუსეთთან კავშირების ეკონომიკური უპირატესობის შეფასება 13

თუკი საჭირო გახდება არჩევანის გაკეთება რუსეთთან კავშირებსა და ევროკავშირში გაწევრიანებას შორის, რომელს აირჩევდით და რატომ? 13

თუკი საქართველო რუსეთთან დაახლოების გზას აირჩევს, რა გავლენას მოახდენს ეს თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე, თქვენს ეკონომიკურ მდგომარეობაზე? ევროკავშირთან დაახლოების გზას? 16

საქართველოს რუსეთთან კონფლიქტში ჩართვასთან დაკავშირებული რისკების აღქმის ანალიზი 18

რამდენად მოსალოდნელად მიგაჩნიათ საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტის დაწყება და რატომ? რაზე დაყრდნობით ფიქრობთ ამას, ვინ მოგაწოდათ ეს ინფორმაცია? 19

რას ფიქრობთ საქართველოს მიმდინარე პოლიტიკაზე რუსეთთან დაკავშირებით? თქვენი აზრით, შესაძლებელია თუ არა რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება? უნდა გააუმჯობესოს თუ არა საქართველომ რუსეთთან ურთიერთობა? რატომ ფიქრობთ ასე? 21

გენდერის საკითხებთან დაკავშირებული ნარატივების შესწავლა 23

რა არის ქალებთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები თქვენს თემში/დასახლებაში? 24

მიგაჩნიათ თუ არა, რომ თქვენს თემში/დასახლებაში ქალებს იგივე უფლებები აქვთ (მუშაობის, საკუთრების ქონის, განათლების მიღების უფლება და ა.შ.), რაც კაცებს? 26

თვლით თუ არა, რომ რაღაც უნდა შეიცვალოს, რათა ქალებს მიეცეთ მეტი უფლებები და შესაძლებლობები? რა უნდა შეიცვალოს? 29

კონსპირაციული თეორიებით გამოწვეული მღელვარების გამოვლენა 31

კოვიდ პანდემიის პერიოდზე ფიქრისას, იმ საინფორმაციო საშუალებებში, საიდანაც ახალ ამბებს იღებდნენ, გახსენდებათ თუ არა ისეთი ინფორმაცია/ახალი ამბავი, რომელიც შეუსაბამოდ ან ყალბად მოგეჩვენათ? რამ მიგანიშნათ, რომ ეს ინფორმაცია შესაძლოა ყალბი ყოფილიყო? გადაამოწმეთ თუ არა ინფორმაციის წყარო? როგორ? 32

თქვენი აზრით, საიდან მოდის ყველაზე მეტი ყალბი ინფორმაცია/სიახლეები? ტელევიზიიდან, სოციალური მედიიდან, ფეისბუკიდან? ყველაზე მეტად ვისზე მოქმედებს ყალბი ინფორმაცია/ახალი ამბები? ვინ არის ყველაზე მოწყვლადი ამ კუთხით? 34

დასკვნა 36

ბიბლიოგრაფია 42

დანართები 44

შესავალი

პროექტის ძირითადი მიზანია აუდიტორიის კვლევა საქართველოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. ეს არის რეგიონი, რომელიც მჭიდროდაა დასახლებული ეთნიკურად სომეხი მოსახლეობით. კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს ექვსი ფოკუს ჯგუფ დისკუსიისა და შვიდი სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარებას მტრული პროპაგანდისა და დეზინფორმაციის კონკრეტული სახეების შესასწავლად. კვლევის ფოკუსს შემდეგი საკითხები წარმოადგენს:

1. ანტიდასავალური (ევროკავშირის საწინააღმდეგო) განწყობების გაღვივება;
2. გენდერის საკითხებთან, განსაკუთრებით ქალთა უფლებებთან, დაკავშირებული ნარატივების შესწავლა;
3. საქართველოს რუსეთთან კონფლიქტში ჩართვასთან / „ჩათრევასთან“ დაკავშირებული რისკების აღქმის ანალიზი;
4. რუსეთთან კავშირების ეკონომიკური უპირატესობის შეფასება ევროკავშირთან კავშირის საპირწონედ;
5. სამედიცინო ექსპერიმენტებთან, მაგალითად, ლუგარის ლაბორატორიასთან, დაკავშირებული კონსპირაციული თეორიებით გამოწვეული მღელვარების გამოვლენა.

კვლევის შედეგები ცდილობს სამიზნე მოსახლეობის დამოკიდებულებების, აღქმებისა და საინფორმაციო საჭიროებების გამოვლენას. ამასთან ერთად, ინფორმაციის წყაროებისა და არხების დადგენას, რასაც მოსახლეობის ეს ჯგუფი უპირატესობას ანიჭებს. კვლევა მიზნად ისახავს, შეისწავლოს როგორც არსებული ხარვეზები და წინაღობები მედიის არსებულ ეკოსისტემაში, ასევე მედია წიგნიერების გაზრდის პერსპექტივები და ეთნიკური უმცირესობის ჯგუფში დეზინფორმაციის მიმართ მედეგობის გამომუშავების გზები.

მნიშვნელოვანია, რომ მოცემული ინიციატივა თანხვედრაშია საქართველოში დემოკრატიის გაძლიერების, ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესებისა და მედია თავისუფლების საყოველთაო მისწრაფებებთან. გარდა ამისა, იგი ცდილობს, წვლილი შეიტანოს ევროკავშირთან ინტეგრაციისა და რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერებაში და დანერგოს ყოვლისმომცველი მიდგომა საზოგადოებრივი და საინფორმაციო პროგრესის მიმართ.

პოლიტიკური კონტექსტი ქვეყანასა და რეგიონში

საქართველოს ხშირად ლიდერად მოიხსენიებენ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, როგორც გამორჩეულს, რუსეთის მიერ მისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის დე-ფაქტო ოკუპაციის მიუხედავად. ბოლო დრომდე ქვეყანაში შეინიშნებოდა პოლიტიკური სტაბილურობის, პლურალიზმისა და ეკონომიკური ზრდის პოზიტიური ტენდენციები.

ქვეყანა დასავლურ ღირებულებებს უერთდება და ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის მისწრაფებას აფიქსირებს. ამის დასტურად საქართველომ, უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად, 2014 წელს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება გააფორმა. თუმცა, საერთო ჯამში ამ პოზიტიური ტრაექტორიისა და ევროკავშირთან პარტნიორობის მიუხედავად, არსებობს სირთულეები ქვეყანაში დემოკრატიის პროგრესისა და კანონის უზენაესობასთან დაკავშირებით. სტრუქტურული პრობლემები ისეთ სფეროებში, როგორიცაა: სასამართლოს დამოუკიდებლობა, მედიის თავისუფლება და მრავალპარტიული მმართველობა უმეტესად მოუგვარებელი რჩება, რაც ქვეყანაში დემოკრატიულ განვითარებასა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესს აფერხებს. დასავლელი დამკვირვებლები, მათ შორის აშშ-ს წარმომადგენლები ქვეყნის დემოკრატიული მიმართულების მიმართ ღრმა შეშფოთებას გამოხატავენ.

საქართველოს მრავალფეროვანი ლანდშაფტის ნაწილია სამცხე-ჯავახეთის რეგიონი, მხარე, რომელიც თავისი ისტორიული, ეთნიკური და პოლიტიკური დინამიკით უაღრესად მნიშვნელოვანია. სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის, მაგალითად, ეთნიკურად სომხების ყოფნა რეგიონში, გავლენას ახდენს როგორც ადგილობრივ, ასევე ეროვნულ პოლიტიკაზე. ამ დინამიურ ურთიერთობას წარსული წყენისა და თანაბარი წარმომადგენლობითობის ძიების ისტორიული ქვეტექსტი გასდევს თან. ეს რეგიონი ხშირად სხვადასხვა, საკუთარი მიზნებისა და შედეგების მქონე, ნარატივების ბრძოლის ველად გვევლინებოდა.

საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი მისი ისტორიული მემკვიდრეობის, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების მისწრაფებისა და რუსეთთან ურთიერთობის დელიკატურ ნაზავს წარმოადგენს. ამ ურთიერთობის ისტორია კომპლექსურობის, დაძაბულობისა და პოტენციური ცვლილებების ერთგვარი ნაკრებია. საკუთარი განვითარების გზაზე საქართველო ცდილობს დემოკრატიული ღირებულებებისკენ სწრაფვასა და რეგიონული სტაბილურობის შენარჩუნებას შორის ბალანსის პოვნას; თუმცა, რუსეთთან მისი ურთიერთობა კრიტიკულ ამოცანად რჩება.

მედია კონტექსტი ქვეყანასა და რეგიონში

ბოლო წლებში საქართველოში მედიის თავისუფლების კლების შემაშფოთებელი ტენდენცია შეინიშნება, რაც ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების მხრიდან განგაშის ზარებს იწვევს. გაუარესებული მდგომარეობა შესამჩნევად აისახება პრესის თავისუფლების შემცირებულ რეიტინგზე. ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მნიშვნელოვანი პრობლემები გამოიკვეთა ჟურნალისტების უსაფრთხოების კუთხით, ასევე ცენზურის შემთხვევები და თვალთვალის მცდელობები, მედია საშუალებების მიმართ უთანასწორო მოპყრობა და მთავრობის მიმართ კრიტიკული ხმების ჩახშობა.[1]

[1] Freedom House, *Nations in Transit 2023*, 2023.

ამის მიუხედავად, საქართველოში მედია გარემო პლურალისტული, თუმცა, პოლარიზებულია. სატელევიზიო და რადიო არხები, ბეჭდური მედია და ონლაინ გამოცემები მოსაზრებათა მრავალფეროვნებას აშუქებენ, თუმცა, მედია საშუალებების უმეტესობა მნიშვნელოვნად მიჰყვება პროსახელისუფლებო ან ხელისუფლების საწინააღმდეგო ხაზს. ასეთ დაყოფას ხშირად თან სდევს ინფორმაციის ცალმხრივად გაშუქება, როცა მმართველი პარტია და მთავრობის წარმომადგენლები უმეტესად იგნორირებას უკეთებენ ოპოზიციურ არხებს, ხოლო პროსახელისუფლებო მედია საშუალებები ოპოზიციის წარმომადგენელთა პოზიციას საერთოდ არ აშუქებენ.[2]

პოლარიზაცია ყველაზე თვალსაჩინო სატელევიზიო არხებზეა, რასაც პოტენციურად ყველაზე დიდი გავლენა აქვს აუდიტორიაზე. მოსახლეობის უმრავლესობა (53%) ინფორმაციას უპირველესად ტელევიზიიდან იღებს. მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტის მოხმარება ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, იგი სატელევიზიო არხებს მაინც ჩამორჩება (39%).[3] ბოლო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, საზოგადოებისთვის ყველაზე სანდო სატელევიზიო არხი „იმედია“ (18%), ხოლო საზოგადოებრივ მაუწყებელს, რომელიც კანონმდებლობით პოლიტიკურად ნეიტრალურ მედია საშუალებას წარმოადგენს, მოსახლეობის მხოლოდ 4% უცხადებს ნდობას. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის ნახევარზე ოდნავ მეტი საერთოდ არ ენდობა სატელევიზიო არხებს.[4]

პოლიტიკური პოლარიზაცია და მედიის მიმართ დაბალი ნდობა მნიშვნელოვან ნიადაგს ქმნის დეზინფორმაციისა და პროპაგანდისთვის. არსებული მონაცემები ხაზს უსვამს მტრული პროპაგანდისა და დეზინფორმაციის კამპანიების გამოყენებას, რასაც კონკრეტული აღქმების ჩამოყალიბების, მოსაზრებათა ცვალებადობისა და სოციალური დაყოფის გაღრმავების სტრატეგიული მიზნები აქვს. ისეთი თემები, როგორებიცაა: ანტიდასავლური განწყობები, გენდერული ნარატივები, მღელვარება რუსეთთან პოტენციურ კონფლიქტთან დაკავშირებით, ეკონომიკური კავშირები და კონსპირაციული თეორიები პროპაგანდის ხშირ საგანს წარმოადგენს, რაც სხვადასხვა წყაროთი, მათ შორის სოციალური მედიით, სატელევიზიო არხებითა და ონლაინ პლატფორმებით ვრცელდება.[5]

ამ კვლევის ფოკუსი, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები ხალხი, განსაკუთრებით მოწყვლადია დეზინფორმაციისა და პროპაგანდის მიმართ, რადგანაც ქვეყანაში არსებული მედია გარემოს ზოგად გავლენას თან ერთვის ადგილობრივი მოსახლეობის დაბალი ინტეგრაცია ქართულ საინფორმაციო სივრცეში.

---

[2] საქართველოს რეფორმების ასოციაცია, *მედიის მდგომარეობა საქართველოში*, 2022.
[3] CRRC, *კავკასიის ბარომეტრი*, 2021.
[4] CRRC, *NDI: საზოგადოების განწყობები საქართველოში, მარტი 2023*, 2023.
[5] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), *გენდერის ბარომეტრი*, 2022

მეთოდოლოგია

მოცემული კვლევის ფარგლებში, CRRC-საქართველომ ჩაატარა ფოკუს ჯგუფ დისკუსიები და სიღრმისეული ინტერვიუები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრებ ეთნიკურად სომეხ და ეთნიკურად ქართველ მოქალაქეებთან. თვისებრივი მონაცემების შეგროვების მთავარი მიზანი მოქალაქეების დამოკიდებულებებისა და რეგიონში არსებული საინფორმაციო საჭიროების აღქმის სიღრმისეული გაანალიზება და იმის დადგენაა, თუ როგორ მოქმედებს მიმდინარე მედია გარემო რეგიონში არსებულ საზოგადოებებზე.

სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფ დისკუსიები ონლაინ, ვიდეო კონფერენციის პლატფორმის გამოყენებით ჩატარდა 2023 წლის ოქტომბერში. საერთო ჯამში, შედგა შვიდი სიღრმისეული ინტერვიუ, რომელთა ხანგრძლივობაც 45 წუთიდან საათ-ნახევრამდე მერყეობდა. სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფ დისკუსიები სომხურ და ქართულ ენებზე ჩატარდა; გაკეთდა მათი აუდიო ჩანაწერი, შემდეგ მომზადდა ტრანსკრიპტი და ინგლისურად ითარგმნა შემდგომი ანალიზისთვის.

ყველა სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა ე.წ. „აზრის ლიდერებთან“ სამცხე-ჯავახეთის სოფლებიდან და ქალაქებიდან. „აზრის ლიდერებად“ მივიჩნიეთ პირები, ვინც მუშაობენ ან მუშაობდნენ საჯარო, არასამთავრობო ან განვითარების სექტორებში. იმისთვის, რომ რეგიონში არსებული სხვადასხვა დემოგრაფიული მახასიათებლების მქონე პირები წარმოდგენილნი ყოფილიყვნენ რესპონდენტებს შორის, ხუთი ინტერვიუ ეთნიკურად სომეხ მოქალაქეებთან, ხოლო ორი ინტერვიუ ეთნიკურად ქართველებთან ჩატარდა.

რაც შეეხება ფოკუს ჯგუფ დისკუსიებს, საერთო ჯამში, ექვსი ფოკუს ჯგუფ დისკუსია შედგა. თითოეულში რვიდან ათამდე ადამიანი მონაწილეობდა. ოთხი ფოკუს ჯგუფის მონაწილე ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა იყო, ხოლო ორის - ეთნიკურად ქართველი. ეთნიკურად სომეხ მოქალაქეებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფ დისკუსიები მოიცავდა ცალკე შეხვედრებს სოფლებისა და ქალაქების მოსახლეობასთან. ორი სომხური ფოკუს ჯგუფი ჩატარდა „აზრის ლიდერებთან“, რომლებიც სამცხე-ჯავახეთის ქალაქებში და სოფლებში ცხოვრობდნენ და იმავე კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ, რასაც სიღრმისეული ინტერვიუების შესაბამისი რესპონდენტები. დანარჩენი ფოკუს ჯგუფ დისკუსიების მონაწილეები ამ რეგიონის ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრები ადამიანები იყვნენ, ვინც „აზრის ლიდერის“ კრიტერიუმებს არ შეესაბამებოდა.

სიღრმისეული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფ დისკუსიების მონაწილეებს ერთი და იგივე კითხვები დაუსვეს, რაც თავმოყრილია გზამკვლევში (იხ. დანართი 1). გზამკვლევის კითხვები შემუშავებულია კვლევისთვის საინტერესო ხუთი საკითხის გარშემო:

1. ანტიდასავლური (ევროკავშირის საწინააღმდეგო) განწყობების გაღვივება;
2. რუსეთთან კავშირების ეკონომიკური უპირატესობის შეფასება ევროკავშირთან კავშირის საპირწონედ;

3. საქართველოს რუსეთთან კონფლიქტში ჩართვასთან / „ჩათრევასთან“ დაკავშირებული რისკების აღქმის ანალიზი;
4. გენდერის საკითხებთან, განსაკუთრებით, ქალთა უფლებებთან, დაკავშირებული ნარატივების შესწავლა;
5. სამედიცინო ექსპერიმენტებთან, მაგალითად, ლუგარის ლაბორატორიასთან, დაკავშირებული კონსპირაციული თეორიებით გამოწვეული მღელვარების გამოვლენა.

მიგნებები

ანგარიშის ამ ნაწილში წარმოდგენილია კვლევის ძირითადი მიგნებები, რომლებიც, კვლევის ძირითადი ფოკუსის შესაბამისად, ხუთ ქვეთავადაა დაჯგუფებული:

1. ანტიდასავლური განწყობების გაღვივება;
2. რუსეთთან უფრო მჭიდრო კავშირების ეკონომიკური უპირატესობის შეფასება;
3. რუსეთთან კონფლიქტის რისკის აღქმის ანალიზი;
4. გენდერული ნარატივების შესწავლა;
5. მოსახლეობის წუხილი კონსპირაციული თეორიების გამო.

თითოეული ამ თემისთვის ძირითადი მიგნებების ანალიზი მოიცავს შვიდი სიღრმისეული ინტერვიუსა და ექვსი ფოკუს ჯგუფის შედეგებს.

საუბრის დასაწყისში კვლევის მონაწილეებს სთხოვდნენ, გაეზიარებინათ ყველაზე დასამახსოვრებელი ან სენსაციური ინფორმაცია, რომელიც ბოლოს შეხვდათ. ფოკუს ჯგუფ დისკუსიებისა და სიღრმისეული ინტერვიუების რესპონდენტებმა ხშირად ახსენეს 14 წლის ეთნიკურად აზერბაიჯანელი გოგონას გატაცება და შემდგომ მკვლელობა, რომელიც ახლო წარსულში კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში მოხდა. „მოტაცება ცოლად მოყვანის მიზნით“ - ქალებისა და გოგოების მოტაცების შემთხვევები მათზე შემდგომში ძალდატანებით ქორწინების მიზნით საქართველოს სოფლის მოსახლეობაში ჯერ კიდევ გვხვდება და განსაკუთრებით რელევანტურია, რადგანაც ქვეყნის ქრონიკულ გენდერულ პრობლემას წარმოადგენს, განსაკუთრებით საზოგადოების ყველაზე ღარიბ ფენებში, სადაც მოცემული ქმედება ფინანსური გამოწვევების პოტენციური დაძლევის გზად განიხილება.[6]

ფოკუს ჯგუფ დისკუსიებისა და სიღრმისეული ინტერვიუების რესპონდენტებმა, როგორც ეთნიკურად სომხებმა, ასევე ეთნიკურად ქართველებმა, ასევე ახსენეს განახლებული კონფლიქტი ისრაელსა და ჰამასს შორის ღაზას სექტორში და იქ არსებული ჰუმანიტარული კრიზისი. ეთნიკურად სომხებმა განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი აზერბაიჯანის მხრიდან მთიანი ყარაბაღის დაპყრობის საკითხს, რაც სექტემბერში მოხდა და რასაც ამ რეგიონში

[6] შოშიაშვილი, *საქართველოში მოკლული 14 წლის გოგოს ოჯახის წევრებს ბრალი წაუყენეს ადრეული ქორწინების ხელშეწყობაში*, 2023.

მცხოვრები 100,000-ზე მეტი ეთნიკურად სომეხი ადამიანის იძულებითი გადაადგილება მოჰყვა.[7] კონფლიქტებთან დაკავშირებულ ახალ ამბებზე ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა: „მთიანი ყარაბაღის გარშემო იმდენი დეზინფორმაციაა, რომ ეს, ალბათ, გამიზნულად კეთდება, რომ ხალხი დაიბნეს და ვერ გაიგოს, რა ხდება რეალურად“.

ახალი ამბები, რაც კვლევის მონაწილეებისთვის დასამახსოვრებელი და სენსაციურია, მიუთითებს იმაზე, რომ კვლევაში მონაწილეებს ნაწილობრივ განსხვავებული და ნაწილობრივ მსგავსი პრობლემები აწუხებთ. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული მოვლენები მათი საცხოვრებელი ტერიტორიის მიღმა მოხდა, რესპონდენტების პასუხები მიუთითებს იმაზე, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ინფორმაციას როგორც საქართველოს სხვა ნაწილებიდან, ასევე საერთაშორისო თემებზე იღებენ. ეს კი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს კვლევის მიზნის მნიშვნელობასა და რელევანტურობას, რაც მოიცავს ახალი ამბებისა და დეზინფორმაციის გავრცელებისა და შემდგომში მოსაზრებების ფორმირების შესწავლას.

ანტიდასავლური განწყობების გაღვივება

საქართველოს ევროპული განწყობები და ქვეყნის კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერი ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ[8] საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. 2022 წელს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის თანახმად, მოსახლეობის 81%-ისთვის მისაღებია საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი, საქართველო გახდეს ევროკავშირი წევრი, და მხოლოდ 9% არ ეთანხმება ამას.[9] მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის მიმართ განწყობა დადებითია, ისევე, როგორც მასთან ამჟამინდელი და მომავალი პარტნიორობის აღქმა, გარკვეული წინააღმდეგობა მაინც არსებობს.

პრორუსული, კონსერვატული პოლიტიკური პარტია და მედია საშუალება „ალტ-ინფო“ ხშირად მიიჩნევა ქვეყანაში რუსული რბილი ძალის ერთ-ერთ ფორმად. პარტია ხმამაღლა ეწინააღმდეგება ევროინტეგრაციას და ხშირად კავშირშია ანტიდასავლური კონსპირაციული თეორიებისა და ჰომოფობიური შეტყობინებების მხარდაჭერა-გავრცელებაში, რაც რუსეთის მთავრობის მხარდაჭერით ხორციელდება.[10] დამატებით აღსანიშნავია, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მნიშვნელოვანია რუსული მაუწყებლობა, რადგან ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა შეიძლება, კარგად ვერ ფლობდეს ქართულ ენას და ინფორმაციისთვის რუსულენოვან მედია საშუალებებს მიმართავდეს. შესაბამისად, რუსეთის მიერ მხარდაჭერილი პოლიტიკური მოძრაობების არსებობა, მაგალითად, „ალტ-ინფოსი“, და რეგიონში მომუშავე რუსული

[7] Barseghyan, *The last bus out of Nagorno-Karabakh*, 2023.
[8] Petrov, *Constitutional challenges for the implementation of association agreements between the EU and Ukraine, Moldova, and Georgia*, 2015.
[9] CRRC, *NDI: მოსახლეობის დამოკიდებულებები საქართველოში*, 2022.
[10] Chkhaidze, *Whispers of Influence: youth engagement with Alt-info's Soft Power Perceptions*, 2023, Pp. 35-36.

სახელმწიფო მედია საშუალებები შეშფოთებას იწვევს რეგიონში ევროკავშირის საწინააღმდეგო განწყობების გაღვივების კუთხით.

სამცხე-ჯავახეთში ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულების შესასწავლად, სხვადასხვა დემოგრაფიულ მახასიათებლებსა და მოსაზრებების პოტენციურ წყაროებთან ერთად, ფოკუს ჯგუფების მონაწილეებსა და სიღრმისეული ინტერვიუების რესპონდენტებს ჰკითხეს შემდეგი:

1. ძირითადად რომელ საინფორმაციო მედია საშუალებებს მოიხმართ? ეს მედია საშუალებები ადგილობრივია თუ უცხოური? გთხოვთ, დამისახელოთ ის წყაროები, რომლებსაც რეგულარულად იყენებთ?
2. ასევე, რა არის ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის პოლიტიკის მიზნები საქართველოში?

პირველი კითხვის მიზანია იმ ინფორმაციის წყაროებისა და მედია საშუალებების იდენტიფიცირება, რაც სამცხე-ჯავახეთის მაცხოვრებლებს შორის პოპულარული შეიძლება, იყოს. ხოლო მეორე შეკითხვა ცდილობს, ევროკავშირთან დაკავშირებით არსებული შეტყობინებების მიზნებისა და ზრახვების გამოვლენას.

ძირითადად რომელ საინფორმაციო მედია საშუალებებს მოიხმართ? ეს მედია საშუალებები ადგილობრივია თუ უცხოური? გთხოვთ, დამისახელოთ ის წყაროები, რომლებსაც რეგულარულად იყენებთ

> *...ვცდილობ, სოციალური მედიით მოვძებნო ან სხვადასხვა [სატელევიზიო] არხს ვუყურო. ყველა სხვადასხვა სურათს აჩვენებს. შეიძლება, 100%-ით სიმართლე ვერ გაიგო, თუმცა, 80%-ით, ალბათ, გაიგებ. 100%-ით სანდო არცერთი არაა, - ეთნიკურად ქართველი, ქალი, 46 წლის.*

ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების რესპონდენტებს შორის მედიის მიმართ ზოგადი განწყობა ახალი ამბების მედია საშუალებებისადმი უნდობლობაზე მიუთითებს. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ახალ ამბებს სხვადასხვა წყაროდან იღებენ, მათ შორის: სატელევიზიო არხებიდან, რადიოდან და ინტერნეტიდან - სოციალური მედიის გვერდებიდან, როგორებიცაა „იუთუბი“ და „ფეისბუქი“. იმის მიუხედავად, რესპონდენტი ე.წ. „აზრის ლიდერი“ იყო თუ ზოგად მოსახლეობას წარმოადგენდა, კვლევის მონაწილეები ამბობდნენ, რომ მედია საშუალებები ახალი ამბების გაშუქებისას მიკერძოებულია და საკუთარი ფარული მიზნები აქვს. შესაბამისად, ბევრმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ცდილობს ინფორმაციის წყაროების დივერსიფიკაციას იმისთვის, რომ ნებისმიერი ამბის შესახებ სხვადასხვა მხრიდან გაიგოს. როგორც ეთნიკურად სომეხმა „აზრის ლიდერმა“ აღნიშნა:

> *თავიდანვე ვიტყვი, რომ არავის ვენდობი. ჩვენი ადგილობრივი „რადიო ნორის“ „ფეისბუქ“ გვერდს ვადევნებ თვალს და ინფორმაციას იქიდან ვიღებ. ასევე, ვიყენებ*

Georgia Online-ს. იმასაც ვიტყვი, რომ არ ვემხრობი მხოლოდ ერთი წყაროს გამოყენებას. ვცდილობ, ყველა მხარის პოზიციის შესახებ გავიგო, რომ მქონდეს ინფორმაცია მათზე, მათ ქმედებებზე, პოზიციებზე და სხვა დეტალებზე. გარდა ამისა, ბევრ სხვადასხვა ადამიანს ვუსმენ, მათი პოზიციის მიუხედავად, - ეთნიკურად სომეხი, ქალი, 51 წლის, „აზრის ლიდერი“.

ეთნიკურად სომეხ რესპონდენტებში ახალი ამბების ადგილობრივი წყაროები უფრო ხშირად დასახელდა, როგორც ხშირად გამოყენებული საინფორმაციო წყარო. ასეთები იყო, მაგალითად, „რადიო ნორი“, „ფარვანა ტვ“ და „ალიქ მედია“, მედია საშუალებები, რომლებიც ინფორმაციას სომხურ ენაზე აქვეყნებენ. თუმცა, რესპონდენტებმა დამატებით აღნიშნეს, რომ რუსულენოვან წყაროებსაც მოიხმარენ, მაგალითად, რუსეთის პირველ არხს, „ერ-ტე-ერ-ს“ და „ო-ერ-ტე-ს“. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდნენ რუსული წყაროების სანდოობას, ამბობდნენ, რომ მათთვის მნიშვნელოვანია ამბის ორივე მხარის მოსმენა. დამატებით, რესპონდენტებმა პოპულარულ დასავლურ მედია საშუალებად „რადიო თავისუფლება“ დაასახელეს. ამ მაუწყებლების ჩამოთვლის მიუხედავად, ინფორმაციის მიღების ყველაზე პოპულარულ გზად რესპონდენტებისთვის სოციალური მედია რჩება. თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, როცა რესპონდენტები თავად ირჩევენ ახალი ამბების წყაროებს სოციალურ მედიაში, მედია საშუალებების მიმართ ნდობა მაინც დაბალია:

ინფორმაციას უმეტესად სოციალური ქსელებიდან ვიღებ. ვიყენებ „ფეისბუქს“ და „ტიკ-ტოკსაც“ იმიტომ, რომ ბოლო პერიოდში ბევრნაირი ინფორმაცია ვრცელდება იქ. საერთო ჯამში, დანამდვილებით შემიძლია, გითხრათ, რომ ძალიან მრავალფეროვანი ინფორმაცია ძალიან დამაბნევლად ვრცელდება. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერს ვუყურებ, ვკითხულობ და ვუსმენ, ყველა მათგანი სანდო არ არის, - ეთნიკურად სომეხი, კაცი, 37 წლის.

ფოკუს ჯგუფების ეთნიკურად ქართველმა მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მათთვის ინფორმაციის მთავარი წყარო ეროვნული მაუწყებლების მიერ „ფეისბუქ“ გვერდებზე აქტივობაა. ეს მაუწყებლებია „მეცხრე არხი“, „ეს-ქეი ნიუსი“, „იმედი“ და „რუსთავი 2“. მათი თქმით, ისინი ამ არხებს ტელევიზიით აღარ ადევნებენ თვალს და სოციალურ მედიაში მათი გვერდების მიყოლა ურჩევნიათ. მოცემული მედია საშუალებები ქართულ ენაზე მაუწყებლობენ და მომხმარებლებს სთავაზობენ ინფორმაციას როგორც ადგილობრივ, ასევე ეროვნული დონის საკითხებზე. რესპონდენტებმა ასევე ახსენეს რადიო „არ დაიდარდო“, პოპ კულტურისა და გართობის არხი. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტებმა აღნიშნული არხები და მედია საშუალებები ინფორმაციის ძირითად წყაროებად დაასახელეს, ასევე მიუთითეს, რომ ინფორმაციის დასადასტურებლად ოჯახის წევრებისა და მეგობრების აზრს ეყრდნობიან.

მე რაც შემეხება, ნათესავები მყავს, ვისაც შემიძლია, ვენდო, როცა მინდა რაიმე საკითხზე ზუსტი ინფორმაციის მიღება. გარდა ამისა, მთავრობაშიც მყავს ხალხი, ვისაც

ბევრ რამეზე უფრო დეტალური ინფორმაციის მოწოდება შეუძლია, - ეთნიკურად ქართველი, ქალი, 46 წლის.

ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთმა ეთნიკურად სომეხმა მონაწილემ დამატებითი აღნიშნა, რომ ხშირად ეთნიკურად ქართველ თანამშრომლებს ენდობა იმ სკოლაში, სადაც მუშაობს, რომ გადაამოწმოს ინფორმაცია და ქართულენოვანი მედია საშუალებების პერსპექტივიდანაც შეაგროვოს ინფორმაცია.

სამასწავლებლოში რომ ახალ ამბებს განიხილავენ, ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის. განსაკუთრებით ჩვენი სკოლის ქართულენოვან მასწავლებლებს ვენდობი იმიტომ, რომ ისინი ქართველები არიან, იდეალურად იციან ქართული და უფრო მეტად არიან გარკვეული ყველაფერში. ისინი ინფორმაციის ბევრ წყაროს მოიხმარენ, მათ შორის ქართულენოვან წყაროებს და მათი სიტყვები ძალიან ღირებულია ჩემთვის, განსაკუთრებით, როცა საქმე განათლებასა და მსგავს საკითხებს ეხება... - ეთნიკურად სომეხი, კაცი, 46 წლის.

როგორც ეთნიკურად სომეხი, ასევე ეთნიკურად ქართველი რესპონდენტების უმეტესობა მედიას არ ენდობა, რადგანაც ახალი ამბების გადმოცემისას მათ მიკერძოებულობას გრძნობს. თუმცა, ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების შედეგები აჩვენებს, რომ ეთნიკურობისა და ენის მიხედვით რესპონდენტების ინფორმაციის წყაროები განსხვავდება. კვლევის ეთნიკურად სომეხი მონაწილეები ინფორმაციის უფრო სომხურ და რუსულ ენებზე იღებენ, ეთნიკურად ქართველები კი ეროვნულ მაუწყებლებს ანიჭებენ უპირატესობას. ორივე ჯგუფის შემთხვევაში რესპონდენტებს ინფორმაციის მიღება სოციალურ მედიით, „ფეისბუქითა“ და „ტიკ-ტოკით“ ურჩევნიათ, ვიდრე ტრადიციული სატელევიზიო არხებითა და რადიოთი. თუმცა, რესპონდენტებში ამ მხრივ გამონაკლისებსაც ვხვდებოდით. იმის გამო, რომ კვლევის მონაწილეების დიდი ნაწილი სკეპტიკურადაა განწყობილი ინფორმაციის სანდოობის მიმართ, ბევრი მეგობრებს, ოჯახის წევრებსა და თანამშრომლებს მიმართავს ახალი ამბების დასადასტურებლად და მათ ენდობა.

თქვენი აზრით, რა არის ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის პოლიტიკის მიზნები საქართველოში?

რადგანაც სამცხე-ჯავახეთში ინფორმაციის წყაროები განსხვავდება ეთნიკური ჯგუფის მიხედვით, ეთნიკურად სომეხი რესპონდენტები ადგილობრივ სომხურ ენაზე მომუშავე მედია საშუალებებსა და რუსულენოვან მედიას ანიჭებენ უპირატესობას, ხოლო ეთნიკურად ქართველები უმეტესად ახალი ამბების ეროვნულ მედია საშუალებებს ადევნებენ თვალს, ინფორმაციის ამ წყაროებს გავლენა აქვს ევროკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი პოლიტიკის შესახებ ადამიანების აღქმაზე. როგორც ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთმა, ეთნიკურად სომეხმა მონაწილემ აღნიშნა:

დღეს ამერიკა საკმაოდ წარმატებული, ეკონომიკურად ძლიერი და პოლიტიკურად გავლენიანი ქვეყანაა. თუკი ევროპასა და ევროკავშირს ავიღებთ, ისინიც საკმაოდ

ძლიერები არიან, განსაკუთრებით ის ქვეყნები, რომლებმაც ევროკავშირი დააფუძნეს. გარდა ამისა, ევროკავშირისა და ევროპის ყველა ქვეყანა დღეს ჩვენზე ძლიერი და მეტად განვითარებულია. შეიძლება, ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანას მათთან თანამშრომლობა მხოლოდ სარგებელს მოუტანს. ამასთან, ისინი ძალიან გვეხმარებიან ყველაფერში, გვერდში გვიდგანან, მხარს გვიჭერენ, - ეთნიკურად სომეხი, კაცი, 38 წლის.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში ზოგადად დადებითი დამოკიდებულებები დაფიქსირდა, ზოგმა რესპონდენტმა უფრო პრაგმატული მიდგომა გამოამჟღავნა. მაგალითად, ეთნიკურად სომეხმა „აზრის ლიდერმა“ სიფრთხილე და წუხილი გამოთქვა დასავლეთთან საქართველოს ურთიერთობის პოტენციურ შედეგებზე რუსეთთან ურთიერთობის კუთხით.

რუსეთს არ სურს რეგიონში პოზიციის დათმობა. მას არ უნდა კავკასიის დაკარგვა და ჩვენ მიერ განსხვავებული მიმართულების არჩევამ გარკვეული კონფლიქტი შეიძლება, გამოიწვიოს. ამისი საფრთხე შეიძლება, უარყოფით გავლენად მივიჩნიოთ, სხვა ყველაფერი მხოლოდ დადებითი, სასარგებლო და კარგია ჩვენი ქვეყნისთვის, - ეთნიკურად სომეხი, კაცი, 48 წლის.

ეთნიკურად ქართველებს შორის ამერიკის შეერთებულ შტატებისა და ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულება ასევე დადებითია. რესპონდენტები ზოგადად თანხმდებოდნენ იმაზე, რომ ევროკავშირი და აშშ ქვეყანაში დემოკრატიის მდგომარეობისა და ეკონომიკის გაუმჯობესებას ისახავენ მიზნად.

რაც შემეხება მე, ვფიქრობ, რომ მათი მთავარი მიზანია ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების განვითარება. ეს კი ლოგიკურად უკავშირდება განათლების სისტემის, ეკონომიკის, უსაფრთხოებისა და სხვა სექტორების განვითარებას, - ეთნიკურად ქართველი, ქალი, 31 წლის.

ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების რესპონდენტებს, ორივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს, სჯერათ, რომ საქართველოში დასავლეთის მიზნები დადებითია. ეს დამოკიდებულება ადასტურებს იმ კვლევებს, რომელთა მიხედვითაც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანება სურს. გარკვეული ჯგუფების, მაგალითად, „ალტ-ინფოს“, ძალისხმევის მიუხედავად, რომ რეგიონში ანტიდასავლური განწყობები გააღვივოს, რესპონდენტები თანხმდებიან იმაზე, რომ ევროკავშირისა და აშშ-ს პოლიტიკა მიზნად ისახავს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას და საქართველოში მდგრადი და დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობას.

რუსეთთან კავშირების ეკონომიკური უპირატესობის შეფასება

საქართველოში რუსეთის მიმართ არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება არსებობს. 2021 წელს ქვეყნის მოსახლეობის 66% ამბობდა, რომ ქვეყნის „მთავარი მტერი“ სწორედაც ჩრდილოელი მეზობელია[11], და ბევრს რეგიონში ალტერნატიული სავაჭრო პარტნიორის ყოლა ერჩია. უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, 2022 წელს საქართველოს ექსპორტი რუსეთში 6.8%-ით გაიზარდა და 652 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო რუსეთის იმპორტი საქართველოში 79%-ით გაიზარდა და 1.8 მილიარდ დოლარს მიაღწია, რაც მზარდ ეკონომიკურ დამოკიდებულებაზე მიუთითებს.[12] ეს პარადოქსული დამოკიდებულება რუსეთთან ვაჭრობაზე დეტალურად აჩვენებს, რომ საქართველოს მოქალაქეების პოლიტიკური პრეფერენციები ან იდეოლოგია ყოველთვის არ ემთხვევა მათი ეკონომიკური შესაძლებლობების არჩევანს.

რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების მიმართ დამოკიდებულებების შესასწავლად და შესაფასებლად, ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების რესპონდენტებს შემდეგი კითხვები დაუსვეს:

1. თუკი საჭირო გახდება არჩევანის გაკეთება რუსეთთან კავშირებსა და ევროკავშირში გაწევრიანებას შორის, რომელს აირჩევდით და რატომ?
2. თუკი საქართველო რუსეთთან დაახლოების გზას აირჩევს, რა გავლენას მოახდენს ეს თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე, თქვენს ეკონომიკურ მდგომარეობაზე? თუკი ევროკავშირთან დაახლოებას აირჩევს, ამას რა გავლენა ექნება თქვენს ყოველდღიურობაზე და თქვენს ეკონომიკურ მდგომარეობაზე?

ორივე კითხვა მიზნად ისახავდა რუსეთისა და ევროკავშირის, როგორც რეგიონში არსებული ძალებისა და პარტნიორების მიმართ დამოკიდებულებების გარკვევას, ხოლო მეორე შეკითხვა ცდილობდა, რესპონდენტები დაეფიქრებინა იმ რეალურ თუ ჰიპოთეტურ ეკონომიკურ მიმართულებაზე, რაც საქართველოს შეიძლება აერჩია, და გაეგო, მათი წარმოდგენით, რა გავლენას მოახდენდა ეს არჩევანი მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

თუკი საჭირო გახდება არჩევანის გაკეთება რუსეთთან კავშირებსა და ევროკავშირში გაწევრიანებას შორის, რომელს აირჩევდით და რატომ?

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა და „აზრის ლიდერების“ უმრავლესობამ უპირატესობა ევროკავშირთან ურთიერთობას მიანიჭა და აღნიშნა, რომ აქ ქვეყანას მეტი სარგებელი და პერსპექტივა ექნება. თუმცა, რუსეთის მიმართ რესპონდენტებს განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ. ზოგი უარყოფდა ამ ქვეყანასთან ყოველგვარ პარტნიორობას და მას საქართველოს მტრად მოიხსენიებდა. სხვები კი ეთანხმებოდნენ მოსაზრებას, რომ რუსეთი

[11] CRRC, *კავკასიის ბარომეტრი*, 2021.
[12] Civil.ge, *„TI საქართველო“: 2022 წელს საქართველოს რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულება გაიზარდა*, 2023.

მტერია; თუმცა, აღნიშნავდნენ, რომ თუკი ქვეყანა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებაში დაეხმარება, შესაძლებელია გარკვეული მხარდაჭერაც.

> *ვერასდროს ავირჩევდი რუსეთს, რადგანაც ჩვენი მტრები არიან და ჩვენი ისტორიის განმავლობაში ქვეყანას დიდი ზიანი მიაყენეს. რაც შეეხება ევროკავშირს, ისინი ყოველთვის მხარს უჭერენ და ეხმარებიან ჩვენს ქვეყანას, - ეთნიკურად ქართველი, კაცი, 41 წლის.*

> *ყოველთვის დასავლური ღირებულებებისა და მათი სტრუქტურის მხარეს დავიჭერ. თუმცა, თუკი რუსეთთან დაკავშირება ჩვენს ქვეყანას დაეხმარება, ოკუპირებულ ტერიტორიებზე [აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/სამაჩაბლოს რეგიონებზე] კონტროლის დაბრუნებაში, მაშინ შესაძლოა, რუსეთზეც შემეჩერებინა არჩევანი. ზოგადად, ვეთანხმები იმას, რომ რუსეთი მტერია, - ეთნიკურად ქართველი, კაცი, 48 წლის.*

ეთნიკურად სომეხ რესპონდენტებს განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდათ რუსეთსა და ევროკავშირს შორის არჩევანზე. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, ხალხის არჩევანის ერთ-ერთი ინდიკატორი შეიძლება, ასაკი იყოს.

> *ვფიქრობ, საქართველოსთვის ევროკავშირთან დაკავშირება სასარგებლოა. ჩვენ დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება გვინდა და ევროკავშირს ამ მიზნის მიღწევაში ჩვენი დახმარება შეუძლია. მეორე მხრივ, რუსეთთან დაკავშირებას ჩვენთვის გარკვეული უარყოფითი შედეგები შეიძლება, მოჰყვეს. ზოგადად, მგონია, რომ საქართველოს ახალგაზრდობა უფრო ევროკავშირს აირჩევდა, ხოლო უფროსი ასაკის მოქალაქეები უფრო რუსეთის მხარეს დაიჭერდნენ, - ეთნიკურად სომეხი, კაცი, 27 წლის.*

რუსეთთან ურთიერთობაზე კიდევ უფრო ჩახლართული აღქმა გამოამჟღავნა ერთ-ერთმა ეთნიკურად სომეხმა „აზრის ლიდერმა“. იმის მიუხედავად, რომ რუსეთი საქართველოსთვის და სომხეთისთვის მტრად დაასახელა, მან პარტნიორობისთვის გარკვეული სივრცეც დაინახა.

> *მე ევროკავშირს ავირჩევდი ყველა დადებითი შედეგის გამო. თუმცა, იმის მიუხედავად, რომ რუსეთი მტერია როგორც საქართველოსთვის, ასევე სომხეთისთვის, მაინც განვიხილავდი მათთან გარკვეული კავშირების ქონას, - ეთნიკურად სომეხი, ქალი, 27 წლის.*

გარდა ამისა, დამოკიდებულებებზე გავლენას ახდენდა ოჯახური ურთიერთობები და სხვა ეკონომიკური საკითხები, მაგალითად, დამოკიდებულება რუსეთიდან გადმორიცხვებზე. რესპონდენტებმა ასევე ახსენეს იმის შიში, რომ ევროკავშირში საქართველოს გააჩუმებენ.

> *მე თუ მკითხავთ, რუსეთს ავირჩევდი, რადგანაც ჩვენი ნათესავების უმეტესობა იქ ცხოვრობს. რაც შეეხება ევროკავშირს, მათი წევრი რომც გავხდეთ, ხმის უფლება არ გვექნება, - ეთნიკურად სომეხი, ქალი, 37 წლის.*

თუკი არჩევანია გასაკეთებელი, მაინც რუსეთს ვამჯობინებდი, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი რეგიონის აბსოლუტური უმრავლესობა, უხეშად რომ ვთქვათ, კაცების 90 პროცენტი რუსეთში მიდის სამუშაოდ სეზონურ სამუშაოზე და ამ გამომუშავებული ფულით ცდილობენ ოჯახების შენახვას, - ეთნიკურად სომეხი, კაცი, 24 წლის.

სხვები ცდილობდნენ, გარკვეული შუალედური პოზიცია დაეფიქსირებინათ რუსეთთანაც და დასავლეთთანაც პარტნიორობის მხრივ. როგორც ერთ-ერთმა ეთნიკურად სომეხმა „აზრის ლიდერმა“ აღნიშნა:

ჩვენნაირი ქვეყნისთვის შეუძლებელია ნეიტრალური პოზიციის არჩევა. ამის საშუალებას ჩვენ არავინ მოგვცემს. ჩვენ კი არა, დიდი ქვეყნებიც კი არ არიან ნეიტრალურები. შეიძლება, ამერიკა და რუსეთი ძალიან გავლენიანები არიან, მაგრამ ისინიც არ არიან ნეიტრალურები. საჭიროა სწორი ბალანსის შენარჩუნება, - ეთნიკურად სომეხი, ქალი, 51 წლის.

ეთნიკურად სომეხ რესპონდენტებში რუსეთის მიმართ დამოკიდებულებაზე გავლენა მთიან ყარაბაღში ბოლოს განვითარებულ მოვლენებსაც ჰქონდა. ბევრი მიიჩნევდა, რომ რუსეთმა მიატოვა იქ მშვიდობისმყოფელის როლი და აზერბაიჯანს საშუალება მისცა, აღედგინა კონტროლი უმეტესად ეთნიკური სომხებით დასახლებულ რეგიონზე.

ჩემი აზრით, რუსეთის სამხედრო ბაზები სომხეთსა და მთიან ყარაბაღში ნებისმიერ ძალის ჩარევას აჩერებდა. მას შემდეგ, რაც რუსეთმა დატოვა სომხეთი, კონფლიქტი განახლდა, - ეთნიკურად სომეხი, ქალი, 37 წლის.

რუსეთის მიერ მიტოვების განცდამ სხვებს პირდაპირი ღალატის დამოკიდებულება გაუჩინა.

ჯობია, გყავდეს მტერი, რომელიც ღიად გებრძვის, ვიდრე პარტნიორი, ვისაც მალული მტრული მიზნები აქვს. ჩემი აზრით, ეს ზუსტად მიესადაგება რუსეთის ურთიერთობას სომხეთთან, - ეთნიკურად სომეხი, კაცი, 49 წლის.

ფოკუს ჯგუფებსა და სიღრმისეულ ინტერვიუებში შეგროვებული მოსაზრებები აჩვენებს, რომ რუსეთის მიმართ დამოკიდებულება ერთგვაროვანი არ არის და გეოპოლიტიკურ საკითხებზე, ადგილობრივ და ეროვნულ ეკონომიკურ გამოწვევებსა და ადამიანთა შორის ურთიერთობებზეა დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მიმართ ზოგადი დამოკიდებულება უარყოფითია, ბევრს პრაგმატული მიდგომა აქვს და სჯერა, რომ ჩრდილოელ მეზობელთან აუცილებელია ეკონომიკური ურთიერთობებისა და გარკვეული კავშირების ქონა. კვლევის მონაწილეთა უმრავლესობამ ევროკავშირთან აფილირების უფრო დიდი სურვილი გამოხატა. თუმცა, გარკვეული შფოთვა ამ პარტნიორობასთან დაკავშირებითაც დაფიქსირდა, მათ შორის იმის შიში, რომ ამ ეკონომიკურ ბლოკში საქართველო მარგინალიზებული იქნება და ევროკავშირთან მჭიდრო კავშირების შემთხვევაში მათ პოტენციურად გაუჭირდებათ რუსეთში მცხოვრებ და მომუშავე ოჯახის წევრებთან კონტაქტის შენარჩუნება.

ასევე, მნიშვნელოვანია რეგიონული კონფლიქტის გავლენის აღნიშვნა რუსეთის მიმართ დამოკიდებულებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რესპონდენტი რუსეთს საქართველოს მტრად აღიქვამს, სხვები რუსეთთან პარტნიორობაში ხედავდნენ პოტენციურ გამოსავალს და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/სამაჩაბლოს ოკუპირებული რეგიონების დაბრუნების შესაძლებლობას. მეორე მხრივ, ეთნიკურად სომეხ რესპონდენტებს რუსეთისგან ღალატის განცდა ჰქონდათ, რადგანაც მან არაფერი გააკეთა იმისთვის, რომ აზერბაიჯანისთვის ხელი შეეშალა მთიან ყარაბაღზე კონტროლის დამყარების პროცესში.

თუკი საქართველო რუსეთთან დაახლოების გზას აირჩევს, რა გავლენას მოახდენს ეს თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე, თქვენს ეკონომიკურ მდგომარეობაზე? ევროკავშირთან დაახლოების გზას?

ევროკავშირთან ან რუსეთთან დაკავშირების სარგებლის განხილვისას კვლევის მონაწილეებმა შეძლეს თითოეულის შემთხვევაში დადებითი მხარეების დასახელება. ასევე, გარკვეულ პოტენციურ უარყოფით მხარეებზეც ისაუბრეს. ისევ და ისევ, ეთნიკურად სომხები უფრო მეტი ალბათობით პრაგმატულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ რუსეთის მიმართ და ამბობდნენ, რომ ამ ქვეყანაში მათი ოჯახის წევრების ყოფნის გამო ურთიერთობების გაუმჯობესებას ისურვებდნენ. ზოგი ეკონომიკურ სარგებელზე მიუთითებდა, როგორიცაა უფრო იაფი საქონელი, იმ შემთხვევაში, თუ საქართველო რუსეთთან უფრო მჭიდრო კავშირების დამყარებას მოინდომებდა. თუმცა, ევროკავშირთან მჭიდრო კავშირი ასოცირდებოდა დემოკრატიის, სამოქალაქო საზოგადოებისა და განათლების განვითარებასთან. ღალატისა და უნდობლობის შეგრძნება რუსეთის მიმართ ასევე კვებავდა რესპონდენტების სურვილს, რომ ევროკავშირთან მეტად დაახლოებულიყვნენ. ერთ-ერთმა რესპონდენტმა გარკვეული სიფრთხილით აღნიშნა:

> *ორივეს, რუსეთსაც და ევროკავშირსაც დადებითი გავლენა ექნებათ საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე. თუმცა, თუკი სიტუაციას სხვა კუთხით შევხედავთ, რუსეთის არჩევის შემთხვევაში ჩვენ დიდ შეცდომას დავუშვებთ, რადგანაც რუსეთი ისევ გვიღალატებს. ამიტომაც არ ავირჩევთ რუსეთს, - ეთნიკურად ქართველი, ქალი, 21 წლის.*

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის პირდაპირ მეგობრობას არ უჭერდნენ მხარს, ეთნიკურად სომეხი რესპონდენტები უფრო დადებითად უყურებდნენ რუსეთთან ურთიერთობას და ხაზს უსვამდნენ ეკონომიკურ სარგებელს, უფრო დაბალ ფასებსა და ვაჭრობის უფრო ეფექტიან არხებს. ისინი ასევე წუხილს გამოთქვამდნენ მაღალი ფასების გამო, რაც მოსალოდნელი იქნებოდა საქართველოში ევროკავშირთან დაახლოების შემთხვევაში.

> *ჩემი აზრით, თუ საქართველო რუსეთს აირჩევს, ყოველდღიური მოხმარების პროდუქტები უფრო გაიაფდება, რადგანაც რუსეთი დიდი და მდიდარი ქვეყანაა.*

ევროკავშირთან მჭიდრო კავშირები კი პირიქით, აუცილებლად გაზრდის ფასებს, - ეთნიკურად სომეხი, კაცი, 25 წლის.

სხვა რესპონდენტებმა ყურადღება იმაზე გაამახვილეს, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის უფრო მჭიდრო კავშირები მათ ნათესავების მონახულებას გაუადვილებს. თუმცა, ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ევროკავშირთან ურთიერთობა უფრო ეფექტური იქნება „განვითარებისა და პროგრესის“ კუთხით.

ჩვენ ყველას გვყავს დები, ძმები, ბიძები, ბიძაშვილები და ა.შ. ერთი დადებითი, რაც შეიძლება, მოხდეს ისაა, რომ გადაადგილება უფრო გამარტივდება და უფრო ხელმისაწვდომი გახდება და ხალხი შეძლებს ნათესავების მონახულებას როგორც აქ, ასევე იქ, - ეთნიკურად სომეხი, ქალი, 38 წლის.

ჩემი აზრით, რუსეთთან მჭიდრო კავშირები შესაძლებლობას მოგვცემს, ჩვენს იქ მცხოვრებ ნათესავებს ვესტუმროთ. ეს იქნება ამის ერთადერთი დადებითი შედეგი. რაც შეეხება ევროკავშირთან მჭიდრო კავშირებს, ვფიქრობ, ეს განვითარებისა და პროგრესის ერთადერთი გზაა ჩვენი ქვეყნისთვის, - ეთნიკურად სომეხი, კაცი, 49 წლის.

ეთნიკურად ქართველ რესპონდენტებს უფრო ნაკლებად დადებითი ასოციაცია ჰქონდათ რუსეთთან დაკავშირებით. ერთმა „აზრის ლიდერმა“ აღნიშნა, რომ საქართველოს მიერ რუსეთთან მეტად დაახლოების პერსპექტივა მას გულს უხეთქავს. სხვები ევროკავშირთან უფრო მჭიდრო კავშირების ცალსახა ეკონომიკურ სარგებელს უსვამდნენ ხაზს.

ევროკავშირთან ინტეგრაცია აუცილებელია ჩვენი ქვეყნისთვის. იმედი მაქვს, ამ შემოდგომით მოგვცემენ კანდიდატის სტატუსს და შემდეგ ძალიან მალე ევროკავშირის წევრი გავხდებით. ყოველ შემთხვევაში მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. თუკი შევადარებთ ევროპისა და საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტს, ძალიან დიდი სხვაობაა. ჩვენს ქვეყანას ძალიან დიდი მიზნები აქვს და ნამდვილად აქვს პოტენციალი. ევროკავშირის წევრობა ძალიან დაგვეხმარება ამ მიზნების მიღწევაში და გააძლიერებს ჩვენს ქვეყანას, - ეთნიკურად ქართველი, კაცი, 48 წლის.

მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკურად სომეხმა რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ რუსეთთან უფრო მჭიდრო კავშირი გააადვილებდა ამ ქვეყანაში მოგზაურობას და იქ მცხოვრებ ოჯახის წევრებთან კონტაქტს, ასევე, გააიაფებდა პროდუქტებს, სხვებმა იმას გაუსვეს ხაზი, რომ მაინც ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობა ურჩევნიათ, რადგანაც ეს ეკონომიკის მიღმა, სხვა დარგების განვითარებას შეუწყობს ხელს.

მართალია, რომ რუსეთი ჩვენი მეზობელია და მჭიდრო ეკონომიკური კავშირები და ურთიერთობა გვაქვს მათთან და ჩვენი ინტერესი მხოლოდ ეკონომიკური უნდა იყოს. ეკონომიკური ურთიერთობებისა და ვაჭრობის გარდა, გამართლებული არ არის მათთან რაიმე სახის სხვა გეგმების დასახვა, - ეთნიკურად სომეხი, ქალი, 54 წლის.

განსხვავებული იყო ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების რესპონდენტთა რეაქციები საქართველოს მიერ რუსეთთან ურთიერთობების ჰიპოთეტურად გაღრმავებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი უფრო დაბალ ფასებსა და რუსეთში მცხოვრები ოჯახის წევრების/ნათესავების მონახულების გაზრდილ შესაძლებლობებზე მიუთითებდა, კვლევის მონაწილეებმა უარყოფით მხარეებზეც ისაუბრეს. როგორც ეთნიკურად ქართველმა, ასევე ეთნიკურად სომეხმა რესპონდენტებმა გამოხატეს შიში იმასთან დაკავშირებით, რომ თუკი საქართველო ევროკავშირთან დაახლოების გზას გადაუხვევს, გაუარესდება მდგომარეობა ადამიანის უფლებების დაცვის, დემოკრატიული პრინციპებისა და სამოქალაქო საზოგადოების კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი რესპონდენტი ევროკავშირთან საქართველოს დაახლოების შემთხვევაში ცხოვრების გაძვირებას მოელის, მაინც ამ არჩევანს ანიჭებს უპირატესობას ქვეყნის პროგრესისა და განვითარების პოტენციალის გამო.

საქართველოს რუსეთთან კონფლიქტში ჩართვასთან დაკავშირებული რისკების აღქმის ანალიზი

> *თქვენ რას ეძახით „ბორდერიზაციის“ პროცესს? რას ეძახით საზღვარზე საქართველოს მოქალაქეების მოტაცებას? ჩვენ ისედაც ომი გვაქვს რუსეთთან. ასეთ პირობებში შეუძლებელია, თავი დაცულად იგრძნო, - ეთნიკურად ქართველი, კაცი, 48 წლის.*

2008 წლის ომისა და რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ოკუპირების შემდეგ საქართველოსა და მის ჩრდილოელ მეზობელს შორის ურთიერთობა დაიძაბა. „ბორდერიზაცია“, რასაც ზემოთ მოცემულ ციტატაში რესპონდენტი ახსენებს, ტერმინია, რომელიც აღწერს ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის რეგიონის მიერ საზღვრის ეტაპობრივი გაფართოების პროცესს იმ ტერიტორიაზე, რაც მანამდე საქართველოს ნაწილად მიიჩნეოდა. ეს პროცესი ადგილობრივებს იმის რისკს უქმნის, რომ სამხრეთ ოსეთის რეგიონმა მათი ტერიტორია ჩაყლაპოს ან, ზოგ შემთხვევაში, რუსეთის მესაზღვრეებმა მოკლან ე.წ. „საზღვრის“ უკანონოდ გადაკვეთისთვის.[13]

საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობას კიდევ უფრო ამწვავებს თანამედროვე გეოპოლიტიკური პრობლემები, როგორიცაა ომი უკრაინაში. ომის დასაწყისში რუსეთიდან მასობრივი ემიგრაცია განხორციელდა, 100 ათასზე მეტი რუსეთის მოქალაქე საქართველოში დასახლდა.[14] მიგრანტების ტალღას მოჰყვა გაფრთხილებები პოლიტიკოსების მხრიდან, მათ შორის საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მხრიდან, იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში მათი ყოფნა შესაძლოა, რუსეთს შემოჭრის წინაპირობად გამოეყენებინა და საბაბად საკუთარი მოქალაქეების დაცვის საჭიროება გამოეცხადებინა.[15]

---

[13] Kincha, *Russian troops fatally shoot Georgian in South Ossetia*, 2023.
[14] სილაგაძე, *რუსი იმიგრანტების ცხოვრება საქართველოში*, 2023.
[15] ISPI, *The Impact of Russian Migration in Georgia*, 2023.

იმის გასაგებად, თუ რამდენად აღიქვამენ სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებნი რუსეთთან კონფლიქტის დაწყების საფრთხეს, ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების რესპონდენტებს შემდეგი კითხვები დაუსვეს:

1. რამდენად მოსალოდნელად მიგაჩნიათ საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტის დაწყება და რატომ? რაზე დაყრდნობით ფიქრობთ ამას, ვინ მოგაწოდათ ეს ინფორმაცია?
2. რას ფიქრობთ საქართველოს მიმდინარე პოლიტიკაზე რუსეთთან დაკავშირებით? თქვენი აზრით, შესაძლებელია თუ არა რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება? უნდა გააუმჯობესოს თუ არა საქართველომ რუსეთთან ურთიერთობა? რატომ ფიქრობთ ასე?

გარდა ამისა, რესპონდენტებს დააზუსტებინეს მოსაზრება საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის შესახებ, რამდენად უნდა გაუმჯობესდეს ან არ უნდა გაუმჯობესდეს ეს ურთიერთობა და, კვლევის მონაწილეთა აზრით, რა შეიძლება, გაკეთდეს ამისთვის.

რამდენად მოსალოდნელად მიგაჩნიათ საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტის დაწყება და რატომ? რაზე დაყრდნობით ფიქრობთ ამას, ვინ მოგაწოდათ ეს ინფორმაცია?

საერთო ჯამში, ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების რესპონდენტებმა უსაფრთხოების სხვადასხვა დონეზე მიუთითეს. ზოგს რუსეთთან კონფლიქტის მოლოდინი ჰქონდა, სხვები მიიჩნევდნენ, რომ ომი მხოლოდ შორეული პრობლემაა და მისი გაჩაღების შანსი მინიმალურის. ისინი, ვისაც სჯეროდა, რომ მოსალოდნელია კონფლიქტი, საქართველოს მთავრობის ქმედებებზე საუბრობდნენ და ევროკავშირში გაწევრიანების მათეულ მიზანზე, როგორც პოლიტიკაზე, რომელსაც რუსეთის გაღიზიანება და ომის გამოწვევა შეუძლია.

> *ჩემი აზრით, ნებისმიერ მომენტში, როცა საქართველო ევროკავშირისადმი მიილტვის, მოსალოდნელია, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტი დაიწყება, - ეთნიკურად სომეხი, ქალი, 37 წლის.*

სხვებმა აღნიშნეს, რომ უკრაინაში ომი რუსეთთან კონფლიქტს აჩერებს. მათ საზოგადოება გააფრთხილეს, რომ თუკი ეს ომი დასრულდება, შემდეგი საქართველო იქნება.

> *რა თქმა უნდა, შესაძლებელია. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ რამეზეა დამოკიდებული, ეს ალბათობას არ ამცირებს. დღეს რუსეთი ჩართულია უკრაინის წინააღმდეგ ომში და ამითაა დაკავებული. მაგრამ თუკი რუსეთი გაიმარჯვებს უკრაინაში, მეორე სამიზნე ჩვენ ვიქნებით, - ეთნიკურად სომეხი, კაცი, 29.*

ფოკუს ჯგუფის კიდევ ერთმა მონაწილემ ისაუბრა რუსეთის მხრიდან თავდასხმის შიშზე და იგივე გაფრთხილება გააჟღერა, რაც პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა.

> *ვფიქრობ, საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტი ნებისმიერ მომენტში შეიძლება, გაჩაღდეს, რადგანაც ჩვენი ტერიტორიები რუსეთის მიერაა ოკუპირებული,*

და მათი მოქალაქეების ძალიან დიდი ნაწილი ჩამოვიდა ჩვენთან და აქ ცხოვრობს. ამიტომაც, ნებისმიერი პატარა ოპერაცია შეიძლება, რუსეთთან ომის მიზეზი გახდეს, - ეთნიკურად სომეხი, კაცი, 20 წლის.

მეორე მხრივ, რესპონდენტების ნაწილი არ იზიარებდა რუსეთთან პოტენციურ კონფლიქტთან დაკავშირებულ აჟიოტაჟს. საინტერესოა, რომ ისინი ზოგჯერ იმავე მიზეზებს ასახელებდნენ, რასაც ის რესპონდენტები, ვისაც ომის შიში ჰქონდა.

ჩემი აზრით, ომი მოსალოდნელი არ არის. საქართველოში ამჟამად ბევრი რუსი იმიგრანტი ცხოვრობს. შესაბამისად, რუსეთს ომის დაწყებაც კი არ სჭირდება. - ეთნიკურად ქართველი, კაცი, 40 წლის.

ამის მიუხედავად, სხვა რესპონდენტები ამბობდნენ, რომ საქართველო რუსეთთან ისედაც ომის მდგომარეობაში იმყოფება.

ვფიქრობ, რომ რუსეთთან ომის მდგომარეობაში ისედაც ვართ. რაც შეეხება შეიარაღებული კონფლიქტის გაჩაღებას, მიმაჩნია, რომ ეს სავსებით შესაძლებელია რუსეთის აგრესიული პოლიტიკისა და ამბიციების გამო, - ეთნიკურად სომეხი, ქალი, 27 წლის.

ისინი, ვინც მიიჩნევს, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ომი მოსალოდნელია, მომავალი კონფლიქტის მიზეზად ყველაზე ხშირად ქვეყნის ევროინტეგრაციის სურვილს ასახელებდნენ. ასევე აღნიშნავდნენ, რომ მიზეზი შეიძლება, იყოს უკრაინელი ლტოლვილების მიღება და ქართველებისთვის უკრაინის ომში მონაწილეობის ნებართვა. ერთმა „აზრის ლიდერმა“ ახსნა, რომ რუსეთი, როგორც იმპერია, ცდილობს კავკასიაში კონფლიქტის აღძვრას და მისი უმოქმედობის გამოწვევას.

მე თუ მკითხავთ, მოსალოდნელია, რომ ომი იყოს. ამის მიზეზი შეიძლება, საქართველოს ქმედებებიც იყოს, მათ შორის უკრაინელი მიგრანტების მიღება და უკრაინაში ჯარების გაგზავნა. ზოგადად, ვფიქრობ, რომ რუსეთი წინასწარი განზრახვის გარეშე არაფერს აკეთებს, და თუკი დღეს რუსეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტი არ არის, სწორედ იმიტომ, რომ რუსეთს არ უნდა, რომ იყოს, - ეთნიკურად სომეხი, ქალი, 37 წლის.

სიღრმისეული ინტერვიუს რესპონდენტმა დეტალურად განიხილა რუსეთის იმპერიალისტური ამბიციების საკუთარი აღქმა და აღნიშნა, რომ ღია კონფლიქტი საჭირო არ არის, რადგანაც რუსეთი ისედაც ახდენს გავლენას მოვლენების განვითარებაზე საქართველოში.

რუსეთს ყოველთვის ჰქონდა იმპერიალისტური ზრახვები და უმეტესად დაპყრობაზე იყო ორიენტირებული. მათთვის არასდროს იყო პრიორიტეტი დემოკრატია, კანონის უზენაესობა და საჯარო კეთილდღეობა. რაც შეეხება ომს [უკრაინაში], ისევ და ისევ ვიტყვი, რომ ბოლო პერიოდში მისი გავლენა ძალიან გაიზარდა და ეს სახიფათოა. ჯერ-

ჯერობით ჩვენ მათ [რუსეთის] დაქვემდებარებაში არ ვართ, მაგრამ არც შორს ვართ ამისგან. თუმცა, ამ გადასახედიდან, რაში სჭირდება ომი და კონფლიქტი, როცა მის გარეშეც ყველაფრის მოგვარება შეუძლია? - ეთნიკურად სომეხი, ქალი, 51 წლის.

ფოკუს ჯგუფის ეთნიკურად ქართველმა მონაწილემ გაიზიარა იგივე განწყობა და ახსნა, რომ რუსეთი ქვეყანას „კულტურულად" იპყრობდა და ასევე ხაზგასასმელი იყო მთავრობის პრორუსული პოზიცია.

არ მგონია, რომ ომი მოსალოდნელია ჩვენი მთავრობის პრორუსული კურსის გათვალისწინებით. ვფიქრობ, რუსეთი იარაღის გარეშე, კულტურულად გვიპყრობს. თუკი ჩვენი მთავრობა შეცვლის პრორუსულ კურსს, შემდეგ შეიძლება, ვისაუბროთ ომის შესაძლებლობაზე, - ეთნიკურად ქართველი, ქალი, 31 წლის.

განსხვავდებოდა მიზეზები, რატომაც რესპონდენტებს მიაჩნდათ, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ომი მოსალოდნელი არ არის. ზოგი ამბობდა, რომ რუსეთი ამჟამად უკრაინაში ომითაა დაკავებული. ერთი რესპონდენტი საქართველოს პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს აქებდა იმის გამო, რომ ქვეყნებს შორის მშვიდობას ინარჩუნებდა. თუმცა, ამავდროულად მხარს არ უჭერდა მის პოლიტიკას.

ამჟამად და დღესდღეობით არა. ალბათ, იმიტომ, რომ ღარიბაშვილი იმ ნაბიჯებს დგამს, რასაც ვხედავთ, და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სიტუაცია მართოს და ომი თავიდან აიცილოს. თუმცა, ამის გამო, ჩემი აზრით, ევროკავშირი ისევ არ მოგვცემს კანდიდატის სტატუსს და ესეც ძალიან ცუდი და საზიანოა ჩვენი ქვეყნისთვის, - ეთნიკურად სომეხი, ქალი, 54 წლის.

ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების შედეგები აჩვენებს, რომ რუსეთთან კონფლიქტის მოლოდინი არაერთგვაროვანია და რესპონდენტის ეთნიკურობას არ უკავშირდება. კვლევის მონაწილეებს უმეტესად მიაჩნდათ, რომ ომის ალბათობა უკრაინაში ომის მიმდინარეობაზეა დამოკიდებული და ასევე დაკავშირებულია საქართველოს პროგრესთან ევროინტეგრაციის მიმართულებით. პრეზიდენტ ზურაბიშვილის განწყობის მსგავსად, ზოგმა რესპონდენტმა შეშფოთება გამოთქვა საქართველოში რუსი მიგრანტების ყოფნის გამო, ზოგმა კი პირიქით, ამას მიაწერა რუსეთის მხრიდან საქართველოში შემოჭრის თავიდან აცილება. ასევე აღსანიშნავია, რომ იმის მიუხედავად, რომ ზოგი ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობას კონფლიქტის თავიდან აცილებას მიაწერს, არ მოსწონს მისი პარტიის მიერ არჩეული, რესპონდენტების აღქმით, პრორუსული პოლიტიკა.

რას ფიქრობთ საქართველოს მიმდინარე პოლიტიკაზე რუსეთთან დაკავშირებით? თქვენი აზრით, შესაძლებელია თუ არა რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება? უნდა გააუმჯობესოს თუ არა საქართველომ რუსეთთან ურთიერთობა? რატომ ფიქრობთ ასე?

რუსეთთან დაკავშირებით საქართველოს მიმდინარე პოლიტიკაზე მსჯელობისას, კვლევის მონაწილეთა უმეტესობამ პრაგმატული დამოკიდებულება გამოამჟღავნა. მათი თქმით,

აუცილებელია მეზობელ ქვეყნებთან კარგი ურთიერთობის ქონა, რადგანაც მათ ურჩევნიათ, საქართველომ ისეთი პოლიტიკა გაატაროს, რომ ნეიტრალური დარჩეს. ზოგმა მხარდაჭერა გამოხატა ქვეყნის ამჟამინდელი მთავრობის მიერ საქართველო-რუსეთის ურთიერთობების მართვის მიმართ, რადგან მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ომის თავიდან აცილება იყო. ამავდროულად სხვებს არ უნდოდათ, რომ საქართველოს ვინმეს მხარე დაეჭირა და ერჩივნათ, იგი ნეიტრალური დარჩენილიყო როგორც ევროკავშირის, ასევე რუსეთის მიმართ. დანარჩენ რესპონდენტებს უფრო აბსოლუტური მოსაზრებები ჰქონდათ ქვეყნების ურთიერთობების შესახებ და სჯეროდათ, რომ საქართველომ უნდა გაწყვიტოს ყველანაირი კავშირი რუსეთთან. რამდენიმე რესპონდენტის თქმით, კონფლიქტი შეიძლება, მომხდარიყო იმის მიუხედავად, თუ როგორ პოლიტიკას გაატარებდა საქართველოს მთავრობა. საერთო ჯამში, რესპონდენტები ფრთხილობდნენ და არ სურდათ ურთიერთობების ნორმალიზების მიღმა მათი გაუმჯობესება.

ფოკუს ჯგუფებსა და სიღრმისეულ ინტერვიუებზე დაყრდნობით, ეთნიკურად ქართველი რესპონდენტები უფრო ნაკლებად ენდობოდნენ რუსეთს და ყოყმანით გამოხატავდნენ იმის სურვილს, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზება მომხდარიყო.

> *ჩემი აზრით, როცა საქმე საქართველოს მხარეს ეხება, შეგვიძლია, რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება კომპრომისებზე წასვლითა და მოლაპარაკებებით. თუმცა, რუსულ მხარეს ამ ხერხების გაგება არ შეუძლია, რადგან მათი ერთადერთი ენა ომის ენაა. მეორე მხრივ, რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება შეგვიძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი რუსეთი შეცვლის თავის ხედვას და გაიგებს, რომ ომი მისაღები არ არის, - ეთნიკურად ქართველი, ქალი, 42 წლის.*

სხვა ეთნიკურად ქართველი რესპონდენტები თავიდანვე უარყოფდნენ რუსეთთან ურთიერთობის ყოველგვარ შესაძლებლობას მანამ, სანამ რუსეთის ხელისუფლების სათავეში პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინია.

> *არ მგონია, რომ მომავალში რუსეთთან ურთიერთობა გაუმჯობესდება. რუსეთი არ გაჩერდება მანამ სანამ საქართველოს მთლიანი ტერიტორიის ოკუპაციას არ მოახდენს. ურთიერთობები შეიძლება, გაუმჯობესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი პუტინი ქვეყნის პრეზიდენტი აღარ იქნება, - ეთნიკურად ქართველი, კაცი, 41 წლის.*

მეორე მხრივ, ეთნიკურად სომეხი რესპონდენტები უფრო მეტ სურვილს გამოთქვამდნენ, რომ საქართველოს რუსეთის მიმართ არსებული პოლიტიკა შეენარჩუნებინა, და ხაზს უსვამდნენ მეზობელ ქვეყნებთან ნორმალიზებული ურთიერთობების მნიშვნელობას.

> *ვფიქრობ, ყოველთვის ჯობია მეზობელ ქვეყნებთან კარგი ურთიერთობების ქონა. იგივე შეიძლება, ითქვას რუსეთზეც. მე რასაც ვხედავ, საქართველოს ამჟამინდელი ურთიერთობა რუსეთთან ცუდი არ არის და ვისურვებდი, რომ არც მომავალში შეიცვალოს, - ეთნიკურად სომეხი, კაცი, 29 წლის.*

ერთ-ერთმა რესპონდენტმა საქართველოსა და რუსეთს შორის არსებულ დაძაბულობაზე პასუხისმგებლად კონკრეტული ადამიანები მიიჩნია და არა სახელმწიფოები ან მთავრობები.

> *ყოველთვის შესაძლებელია ურთიერთობების მოგვარება, მაგრამ ერთი ან ორი ადამიანია ხელისუფლების სათავეში, ვინც სიტუაციას ართულებს და ამას მხოლოდ ცუდი შედეგები მოაქვს. უფრო მეტიც, ისე ხდება, რომ არავინ ითვალისწინებს ხალხისა და საზოგადოების შეხედულებებს. დღეს უფრო ამ მხრივ ვხედავ პრობლემას, - ეთნიკურად ქართველი, კაცი, 27 წლის.*

ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუმჯობესებას აზრი არ აქვს, თუკი ქვეყანა ევროკავშირში ინტეგრაციის კურსს გააგრძელებს.

> *ვფიქრობ, შესაძლებელია საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება. თუმცა, რადგანაც ჩვენ ევროკავშირს ვირჩევთ, აზრი არ აქვს რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებას, რადგანაც ისინი ჩვენ ტერიტორიებს არ დაგვიბრუნებენ და, ალბათ, თავს დაგვესხმებიან, - ეთნიკურად სომეხი, ქალი, 21 წლის.*

საერთო ჯამში, ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების რესპონდენტებს საქართველოსა და რუსეთს შორის მშვიდობის ქონა სურთ. თუმცა, ერთ-ერთი ეთნიკურად ქართველი „აზრის ლიდერის“ მიხედვით, მეზობელთან მშვიდობის მიღწევა იდეალური იქნებოდა, თუმცა, გაუგებარია, თუ როგორ შეიძლება, ამის მიღწევა და ირაციონალური აქტორების დამშვიდება.

> *მეგობრული ურთიერთობები უნდა შევინარჩუნოთ, რადგანაც ისედაც ოკუპირებული ვართ. ისინი ცდილობენ საზღვრის გადმოწევას უფრო ახლოს ჩვენთან და ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია, მხოლოდ მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნება, თუკი ეს გამოვა... არაფრის გაუმჯობესება არ შეგვიძლია, რადგანაც არ გვაქვს მათთან ცუდი ურთიერთობა. მათ უნდათ, რომ ვემორჩილებოდეთ, - ეთნიკურად ქართველი, ქალი, 46 წლის.*

კვლევის შედეგები აჩვენებს რუსეთთან ნორმალიზებული ურთიერთობების ქონის სურვილს, თუმცა, ამ ქვეყნის მიმართ უნდობლობის გამო რესპონდენტებმა არ იციან, თუ არსებობს ამის გაკეთების რეალური შესაძლებლობა. ზოგადად, რესპონდენტებმა უპირატესობა მშვიდობის ქონას მიანიჭეს და ხაზი გაუსვეს მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობის მნიშვნელობას. თუმცა, რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების მიღმა კვლევის არცერთმა მონაწილემ არ ისაუბრა ურთიერთობების გაუმჯობესებაზე.

გენდერის საკითხებთან დაკავშირებული ნარატივების შესწავლა

სამცხე-ჯავახეთში საკმაოდ გავრცელებულია კონსერვატიული შეხედულებები გენდერული როლების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ კანონი ამას არ ზღუდავს, ბევრ ქალს და გოგოს შეზღუდული აქვს გადაადგილების თავისუფლება, სამუშაოს დაწყების შესაძლებლობები და

წვდომა მემკვიდრეობაზე, განსხვავებით კაცებისგან. ასევე, ქალებზე მაღალია ზეწოლა ქორწინებასთან დაკავშირებით და მიუღებელია განქორწინება, რასაც ქალის რეპუტაციის დანგრევა შეუძლია. ახალდაქორწინებული ქალების მიმართ ასევე არსებობს მოლოდინი, რომ სახლი დატოვონ და მეუღლის ოჯახში გადავიდნენ მაშინ, როცა კაცები უმეტესად საკუთარ ოჯახში რჩებიან.[16]

რაც შეეხება შრომის ბაზარს, მთავრობასა და ბიზნესში თანამდებობები უმეტესად კაცებს უკავიათ და ქალებს, გარკვეული გამონაკლისების გარდა, არც ახალისებენ, რომ ამ სფეროებში ჩაერთოს. მიუხედავად იმისა, რომ ქალებმა შეიძლება, უმაღლესი განათლების მიღება დაიწყონ, დაქორწინების შემდეგ ბევრი სწავლას თავს ანებებს, ან უმაღლესი განათლების ხარისხს იღებს, თუმცა, საკუთარ სფეროში მუშაობას არ აგრძელებს და ქორწინების შემდეგ სახლის საქმეებსა და ბავშვის მოვლაზე იღებს პასუხისმგებლობას.[17]

მოცემული კვლევის კიდევ ერთი მიზანი იყო რეგიონში გენდერული როლების მიმართ არსებული აღქმებისა და დამოკიდებულებების კვლევა და ასევე, ამასთან დაკავშირებული გამოწვევების გამოვლენა. ამისათვის ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების რესპონდენტებს შემდეგი კითხვები დაუსვეს:

1. რა არის ქალებთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები თქვენს თემში/დასახლებაში?
2. მიგაჩნიათ თუ არა, რომ თქვენს თემში/დასახლებაში ქალებს იგივე უფლებები აქვთ (მუშაობის, საკუთრების ქონის, განათლების მიღების უფლება და ა.შ.), რაც კაცებს?
3. თვლით თუ არა, რომ რაღაც უნდა შეიცვალოს, რათა ქალებს მიეცეთ მეტი უფლებები და შესაძლებლობები? რა უნდა შეიცვალოს?

კვლევის შედეგად განსხვავებული მოსაზრებები დაფიქსირდა. ზოგი ემხრობა და ზოგიც ეწინააღმდეგება ტრადიციულ შეხედულებებს, რაც რეგიონთან და გენდერის მიმართ მის დამოკიდებულებასთან ასოცირდება.

რა არის ქალებთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები თქვენს თემში/დასახლებაში?

ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების რესპონდენტების უმეტესობამ „ტრადიციული“ გენდერული როლები და მოლოდინები დაასახელა მთავარ გამოწვევებად, რაც ქალების წინაშე დგას, განსაკუთრებით როგორც ბარიერი ფინანსური დამოუკიდებლობის მოპოვებისა და შესაბამისი დასაქმების პოვნის კუთხით. ასევე, ხშირად დასახელდა ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული გამოწვევები. კვლევის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს უსამართლო ტვირთს, რისი ტარებაც ქალებს უწევთ ოჯახზე ზრუნვის მხრივ, განსაკუთრებით, როცა მეუღლე საზღვარგარეთ მუშაობს. მიუხედავად იმისა, რომ

[16] Kulick and Metreveli, *Social Relations and Governence in Javakheti, Georgia*, 2009, 23.
[17] Kulick and Metreveli, *Social Relations and Governence in Javakheti, Georgia*, 2009, 23.

რესპონდენტების უმეტესობა თანხმდებოდა იმ გამოწვევებზე, რაც მათ რეგიონში ქალებს აქვთ, გარკვეული გამონაკლისები ამ მხრივაც იყო. რამდენიმე კაცმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ქალებთან დაკავშირებით პრობლემები ან არ არსებობს, ან გაბუქებული და გაზვიადებულია. ფოკუს ჯგუფის რამდენიმე კაცი მონაწილე ასევე ამტკიცებდა, რომ ქალებს იმაზე მეტი დაცვა და უფლებები აქვთ, ვიდრე საჭიროა, და ვიდრე კაცებს აქვთ.

> *ვიტყოდი, რომ ამ მხრივ საქართველოში ყველაფერი რიგზეა და ეს საკითხი გადაწყვეტილად შეგვიძლია, მივიჩნიოთ. ქალები უმიზეზოდ ჩივიან, რადგან სანერვიულო არაფერი აქვთ. ჩემი აზრით, ქალებმა უნდა მიიღონ განათლება, უნდა იმუშავონ, რომ საკუთარი შემოსავალი ჰქონდეთ და უნდა შეეძლოთ საკუთარი მოსაზრების თამამად დაფიქსირება და ჩართულები უნდა იყვნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თუმცა, საკუთარი ქმრების მოსაზრებები უნდა გაითვალისწინონ, - ეთნიკურად სომეხი, კაცი, 33 წლის.*

> *საქართველოში და ჩვენს რეგიონში ზოგადად, ქალებს მეტი უფლებები აქვთ, ვიდრე ჩვენ [კაცებს]. ერთი შესაძლო პრობლემა შეიძლება, იყოს ქალების მონაწილეობა საჯარო მმართველობასა და პოლიტიკაში, თუმცა, ამ მხრივაც ჩვენ წინ ვართ. მხოლოდ ერთი ქალი მერია საქართველოში და ის ჩვენს რეგიონს წარმოადგენს. მიმაჩნია, რომ ქალებთან დაკავშირებით პრობლემები არ არსებობს. მეტიც, მათ იმაზე მეტი უფლება აქვთ, ვიდრე საჭიროა, - ეთნიკურად სომეხი, კაცი, 46 წლის.*

კაცი რესპონდენტების მიერ ზემოთ და შემდგომ მოცემული კომენტარები ადასტურებს მარგინალიზაციის შიშს. ეს მოსაზრებები აჩვენებს გავრცელებულ მოსაზრებას, რომ თუკი ქალებს უფლებები და დაცვა უნდა ჰქონდეთ, მხოლოდ კაცების უფლებების ხარჯზე.

> *ყოველდღიურ ცხოვრებაში გენდერულ უთანასწორობას იშვიათად ვაწყდები, რადგანაც ქალი თანამშრომლები და კოლეგები მყავს, რომლებიც თავისუფლად მუშაობენ და გენდერული უთანასწორობის შემთხვევას არ შევხვედრილვარ. თუმცა, არ ვეთანხმები სრულ გენდერულ თანასწორობას, რადგანაც არსებობს საკითხები, სადაც ქალს უპირატესობა აქვს, და საკითხები, სადაც კაცს აქვს უპირატესობა. შესაძლოა, გარკვეული შეჯიბრი არსებობდეს, თუმცა, უპირატესობები ცალსახაა, ამიტომაც სრულ გენდერულ თანასწორობას ვერ დავეთანხმები, - ეთნიკურად ქართველი, კაცი, 20 წლის.*

კვლევის ქალი მონაწილეები უფრო კრიტიკულად იყვნენ განწყობილნი. როგორც ერთ-ერთმა „აზრის ლიდერმა“ ახსნა, ქალებს ხშირად უფლებას არ აძლევდნენ, რომ ქმრებისგან დამოუკიდებლად რაიმე გადაწყვეტილება მიეღოთ.

> *მოსახლეობის უმეტესობა ეთნიკურად სომეხია. ჩვენს კაცებს უნდათ, რომ ყველაფერში პირველები იყვნენ და ბოლო სიტყვა მათ ეკუთვნოდეს. ქალების უმეტესობა სახლში რჩება და სახლის საქმითაა დაკავებული. ყველაზე ცუდი ეს არის. ერთი საკითხია, რომ სამუშაო ადგილები არ არის, თუმცა, ცალკე პრობლემაა ის, რომ ქალებს მუშაობა*

უნდათ, თუმცა, მათი ქმრები კაცებთან ერთად მუშაობის უფლებას არ აძლევენ. ამ მხრივ პრობლემები ნამდვილად არსებობს, - ეთნიკურად სომეხი, ქალი, 54 წლის.

ერთმა რესპონდენტმა ხაზი გაუსვა ოჯახში ძალადობის პრაქტიკის გავრცელებას რეგიონში და ქალთა ხმების ჩვეულ დისკრედიტაციას.

ქალებს საკუთარი თემის მხარდაჭერა არ აქვთ და ხშირად აუტანელ პირობებში უწევთ ცხოვრება. ძალადობა შეიძლება, გაამართლონ იმ საბაბით, რომ „კაცი ნასვამი იყო და რა მოხდა მერე“, ან „კაცია და ზოგჯერ შეიძლება, რომ ცუდი და შეურაცხმყოფელი სიტყვები თქვას, რა უნდა ქნა“. როცა ხალხს ასეთი დამოკიდებულება აქვთ, საერთოდ როგორ უნდა ილაპარაკო გენდერზე და ქალთა უფლებებზე? - ეთნიკურად ქართველი, ქალი, 46 წლის.

კვლევის ზოგმა კაცმა მონაწილემაც დაასახელა ქალებთან დაკავშირებით არსებული გამოწვევები. ერთ-ერთი „აზრის ლიდერის“ თქმით:

საქართველოში ქალებს ბევრი პრობლემა აქვთ. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში კაცების ოჯახში გადაწყვეტილების მთავარი მიმღები პირები არიან. ჯერ კიდევ ბევრი კაცია, ვინც საკუთარ ცოლს ქალაქის ცენტრში მარტო წასვლის უფლებას არ აძლევს და მათ ამის გაკეთება მხოლოდ მეუღლის თანხლებით შეუძლიათ, - ეთნიკურად სომეხი, კაცი, 38 წლის.

საერთო ჯამში, ქალებმა მეტად დაასახელეს რეგიონში ქალების წინაშე არსებული გამოწვევები და ხაზი გაუსვეს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ოჯახში ძალადობა, სამუშაო შესაძლებლობების ნაკლებობა და ოჯახში თავისუფლად ქმედების სიმცირე. მიუხედავად იმისა, რომ ზოგმა კაცმა რესპონდენტმაც გამოამჟღავნა მსგავსი დამოკიდებულება, უფრო მეტმა მიუთითა, რომ ქალებთან დაკავშირებით პრობლემები არ არსებობს და საკითხების გადაჭრის გზა კაცების თავისუფლების ხარჯზე ხდება. ერთ-ერთმა კაცმა რესპონდენტმა ისიც კი აღნიშნა, რომ „ქალებს იმაზე მეტი უფლებები აქვთ, ვიდრე საჭიროა“.

მიგაჩნიათ თუ არა, რომ თქვენს თემში/დასახლებაში ქალებს იგივე უფლებები აქვთ (მუშაობის, საკუთრების ქონის, განათლების მიღების უფლება და ა.შ.), რაც კაცებს?

სამცხე-ჯავახეთში ქალების უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ გაგება განსხვავდებოდა სქესის მიხედვით. კვლევის ქალი მონაწილეები უფრო მეტი ალბათობით ახდენდნენ იმ სფეროების იდენტიფიცირებას, სადაც ქალები გამოწვევებს აწყდებიან და სადაც მათი შესაძლებლობები შეზღუდულია, განსხვავებით კაცი რესპონდენტებისგან. ეს უკანასკნელნი, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე არ ჰქონდათ სურვილი, ეღიარებინათ, რომ რეგიონში ქალებს უფლებები შეზღუდული აქვთ, ამბობდნენ, რომ ქალებს მუშაობის ნაკლები შესაძლებლობა აქვთ.

თუმცა, არ გაცხადებულა, ეს პრობლემას წარმოადგენს თუ არა. კვლევის ზოგი მონაწილე, ქალიც და კაციც, გენდერის ელემენტს არ უსვამდა ხაზს და ამბობდა, რომ სამსახურის მოძებნა და უმუშევრობა ყველასთვის გამოწვევაა.

ფოკუს ჯგუფის ერთმა მონაწილემ თავიდან ჩამოთვალა ის გამოწვევები, რაც, როგორც ამ რეგიონში მცხოვრებ ქალს, ჰქონდა. მას თავისი სქესის გამო უფლება არ ჰქონდა, სახლი დაეტოვებინა და უმაღლესი განათლება მიეღო.

> *ჩვენს თემში ქალებს იგივე უფლებები არ აქვთ, რაც კაცებს. მე რაც გამომიცდია, უფლება არ მქონდა სასწავლებლად სხვა ქალაქში წავსულიყავი და ის პროფესია ამერჩია, რაც მომწონდა, რადგანაც გოგო ვიყავი. იძულებული ვიყავი, დავრჩენილიყავი ჩემს რეგიონში და აქ მესწავლა და მემუშავა, - ეთნიკურად სომეხი, ქალი, 27 წლის.*

თუმცა, ზოგმა ქალმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მათ რეგიონში კაცებსაც და ქალებსაც ერთნაირი შესაძლებლობები აქვთ.

> *არ მგონია, რომ ქალებს მუშაობის ან სწავლის უფრო ნაკლები შესაძლებლობა აქვთ, ვიდრე კაცებს ჩვენს თემში. რამდენადაც ვიცი, ბევრი ტრენინგი და კურსია და შეუძლიათ, გაიარონ და საკუთარი თავი განავითარონ, - ეთნიკურად სომეხი, ქალი, 37 წლის.*

სხვები ამბობდნენ, რომ ორივე, ქალებიც და კაცებიც აწყდებიან გამოწვევებს, განსაკუთრებით როცა საქმე დასაქმებას ეხება.

> *არ მაქვს შესაბამისი პასუხი, მაგრამ ვფიქრობ, რომ უმუშევრობა ჩვენს ქვეყანაში ყველასთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს, - ეთნიკურად ქართველი, ქალი, 46.*

კვლევის ზოგი მონაწილის თქმით, პრობლემები არსებობს, თუმცა, მათ აქვთ განცდა, რომ ქალებისთვის პირობები გაუმჯობესდა რეგიონში სასწრაფო სერვისების სანდოობის გამო.

> *ახლა მდგომარეობა გაცილებით უკეთესია ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით. ასევე ვიტყოდი, რომ ასეთ შემთხვევაში ქალებს მეტი პრივილეგია აქვთ და კანონი მათ მეტად უჭერს მხარს, ვიდრე კაცებს. 112 [საქართველოს სასწრაფო სერვისების გამოძახების ნომერი] ძალიან კარგად და ეფექტურად მუშაობს და რეაგირებას ახდენს და სიტუაციას ძალიან სწრაფად მართავს. ასევე ვიტყვი, რომ სიტყვიერი შეურაცხყოფის მიმყენებლებიც კი ისჯებიან, - ეთნიკურად სომეხი, ქალი, 47 წლის.*

ფოკუს ჯგუფის კაცმა მონაწილეებმა აღიარეს, რომ ქალებისთვის სამუშაოს მოძებნასთან დაკავშირებით შეზღუდვები არსებობს. თუმცა, მათ სჯერათ, რომ კაცებს ისეთი უნარები და თვისებები აქვთ, რაც ქალებს არ გააჩნიათ, ამიტომაც ზოგი სამუშაოსთვის ისინი უფრო შესაბამისები არიან. ერთი რესპონდენტის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ქალებს იგივე შესაძლებლობები აქვთ, რაც კაცებს, არის გარკვეული უნარები, რაც ქალებს არ აქვთ.

მაინც ვფიქრობ და ჩემს გარშემო ბევრი ადამიანი ამბობს იმავეს, რომ, მაგალითად, პოლიციის ოფიცრის პროფესია ქალებისთვის არ არის და მათთვის შესაბამისი არ არის... რაც შეეხება პროფესიის არჩევას, პრობლემა დღეს ნაკლებად თვალსაჩინოა, რადგანაც ქალებს იგივე შესაძლებლობები ეძლევათ, ზოგჯერ მაშინაც კი, როცა ვინმეს შეზღუდული შესაძლებლობა აქვს. ეს უფრო ადამიანის შესაძლებლობაზეა დამოკიდებული... კაცებს გადაწყვეტილების მიღება შეუძლიათ და ისეთი რამეების გაკეთება, რაც ქალებს უბრალოდ არ შეუძლიათ, - ეთნიკურად სომეხი, კაცი, 33 წლის.

კიდევ ერთმა კაცმა რესპონდენტმა გამოთქვა აზრი, რომ ქალებისთვის სამსახურის მოძებნა გამოწვევას წარმოადგენს სწორედ იმავე მიზეზით.

ჩემი აზრით, ქალები ბევრ პრობლემას აწყდებიან პროფესიის არჩევისას. მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში ასეთი მენტალიტეტია, რომ ქალი არ შეიძლება, იყოს ჯარისკაცი, რადგანაც ეს კაცის სამსახურად მიიჩნევა. იგივე შეიძლება, ითქვას მეხანძრეზე, - ეთნიკურად ქართველი, კაცი, 48 წლის.

ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების რესპონდენტები სხვა გამოწვევებსაც ასახელებდნენ, რაც ქალებისთვის სამსახურის მოძიებას ან განათლების მიღებას ეხებოდა. ასეთი გამოწვევა იყო ქორწინება.

რა თქმა უნდა, ქალს შეუძლია ნებისმიერ პოზიციაზე და ნებისმიერ სამსახურში მუშაობა. რაც შეეხება პრობლემას, პრობლემა ზუსტად იმაშია, რომ, სამწუხაროდ, ქალები იძულებულნი არიან, ადრეულ ასაკში დაქორწინდნენ. როცა კაცი ქორწინდება ადრეულ ასაკში, მას მაინც შეუძლია საკუთარი თავის რეალიზაცია და თვითგანვითარება. თუმცა, სამწუხაროდ, ქალი, რომელიც დედა ხდება, ველარ ახერხებს სწავლის გაგრძელებას და განვითარებას, - ეთნიკურად ქართველი, ქალი, 41 წლის.

მეორე მხრივ, „აზრის ლიდერმა“ ადგილობრივი ტრადიციები და ოჯახების მიერ ბავშვების სოციალიზაციის წესი დაადანაშაულა სექსისტურ პრაქტიკაში.

თავად მშობლები ასწავლიან, რომ ისინი [გოგოები] მათი ძმის მფარველობის ქვეშ უნდა იყვნენ. მე ამას მონობის ქვეშ ყოფნას, სტრესსა და ზეწოლას ვეძახი, - ეთნიკურად სომეხი, ქალი, 51 წლის.

საერთო ჯამში, კვლევის კაცი მონაწილეები, მათი ეთნიკურობის მიუხედავად, ქალებთან შედარებით უფრო მეტად ამბობდნენ, რომ ქალებისთვის უფლებებისა და შესაძლებლობებზე წვდომის კუთხით ბარიერები არ არსებობს. ეთნიკურად ქართველი ქალი რესპონდენტები ფოკუს ჯგუფებსა და სიღრმისეულ ინტერვიუებში გამოწვევებს ასახელებდნენ, თუმცა, უმეტესად აცხადებდნენ, რომ ეს გამოწვევები სხვა თემებშია და არა მათ თემში. ისინი დამატებით ხსნიდნენ, რომ ქალებს ხშირად საზღვარგარეთ წასვლა და მუშაობა უწევთ და საქართველოში დარჩენილი ოჯახებისთვის ფულის გამოგზავნა. ეს კი ეთნიკურად სომეხი რესპონდენტების ნათქვამს ეწინააღმდეგება. ეთნიკურად სომეხი რესპონდენტების

შემთხვევაში სამუშაო მიგრაციაში უმეტესად კაცები მიდიან და არა ქალები. ეთნიკურად სომეხი ქალი რესპონდენტები ხან სამუშაოს დაწყებისა თუ განათლების მიღების საკუთარ გამოწვევებზე საუბრობდნენ, ხან კი სჯეროდათ, რომ ამ მხრივ ბარიერები არ არსებობს. აღსანიშნავია, რომ ზოგმა კაცმა რესპონდენტმა აღიარა, რომ ქალებისთვის ბარიერები არსებობს; თუმცა, ისინი ამ შეზღუდვებს იმით ამართლებდნენ, რომ კაცებს უფრო მეტი შეუძლიათ გარკვეულ პროფესიებში და გადაწყვეტილების მიღების კუთხით, ვიდრე ქალებს. გამონაკლისებიც იყო, ზოგი კაცი რესპონდენტი ხაზს უსვამდა განათლების მიღების გაგრძელების მნიშვნელობას, ქორწინების შემდეგაც.

თვლით თუ არა, რომ რაღაც უნდა შეიცვალოს, რათა ქალებს მიეცეთ მეტი უფლებები და შესაძლებლობები? რა უნდა შეიცვალოს?

ზოგადად, ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუს რესპონდენტები ერთნაირად გამოთქვამდნენ ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების გაუმჯობესების სურვილს. ბევრი ამბობდა, რომ ეს ყველა თაობის წევრთა პერსპექტივის ცვლილებას საჭიროებს. როგორც კაცი, ასევე ქალი რესპონდენტები თანხმდებოდნენ იმაზე, რომ ცვლილება აუცილებელია. მხოლოდ ფოკუს ჯგუფის ერთი მონაწილე ამტკიცებდა საწინააღმდეგოს. ამ ცვლილების მიღწევის სტრატეგიებს რაც შეეხება, გამოთქმული მოსაზრებები მოიცავდა განათლების შესაძლებლობებს, ასევე გენდერულ საკითხებზე ინფორმაციაზე წვდომის გაუმჯობესებას ყველასთვის. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა:

> *როცა ამდენი ტრენინგი და შეხვედრაა, მხოლოდ ქალები კი არა, კაცებიც უნდა მოიწვიონ. რეალურად, კაცებს არ ესმით, რა არის გენდერი და გენდერული საკითხები. ამას სხვანაირად აღიქვამენ, - ეთნიკურად სომეხი, კაცი, 48 წლის.*

მიუხედავად იმისა, რომ ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების რესპონდენტების უმრავლესობამ ხაზი გაუსვა ცვლილებების საჭიროებასა და მნიშვნელობას ქალებისთვის უფლებების უზრუნველსაყოფად, ერთი მონაწილე ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა. მისი თქმით, ხალხი ისედაც ძალიან დაშორდა ტრადიციულ გენდერულ როლებს.

> *თუკი საზოგადოების განვითარება მსგავსი ტენდენციით გაგრძელდება, მაშინ სავსებით მოსალოდნელია, რომ აღარ გვექნება ის ღირებულებები, რაც ჩვენთვის ასეთი მნიშვნელოვანია. საზოგადოება და ხალხი დაკარგავს სახესა და იდენტობას. ჩვენი იდენტობა სწორედ ამაში მდგომარეობს. ჩვენ არ ვარღვევთ ქალების უფლებებს, მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ ქალები არიან და უნდა იყვნენ ოჯახის ბირთვი. ისინი არიან დედები და უნდა იზრუნონ შვილებზე, საკუთარ განათლებაზე, თავის ოჯახზე, საკუთარ ქმრებზე და ქმრების მშობლებზე, - ეთნიკურად სომეხი, კაცი, 46 წლის.*

გენდერული როლებისა და ნორმების ცვლილების მიმართ ფოკუს ჯგუფის ამ კონკრეტული მონაწილის უკმაყოფილების მიუხედავად, რესპონდენტების უმრავლესობა თანხმდებოდა იმაზე, რომ ცვლილებები აუცილებელია. ამ მიზნების მიღწევის სტრატეგიებზე

განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა, ზოგმა რესპონდენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ფუნდამენტური ცვლილებებია საჭირო.

> *მანამ, სანამ ხანდაზმული ადამიანები არიან საკუთარი შეხედულებებითა და სტერეოტიპებით, ძალიან რთული იქნება მათი აზროვნების შეცვლა. ისინი ისევ ისე იფიქრებენ და მოიქცევიან. მხოლოდ თაობის ცვლილებით შესაძლებელია ამ ცვლილებების მიღწევა, ჩემი აზრით, - ეთნიკურად სომეხი, ქალი, 43 წლის.*

ამავდროულად სხვა რესპონდენტებმა განმარტეს, რომ იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფომ თავის მხრივ ქალებისთვის უფლებების მინიჭება უზრუნველყო, ადამიანებს ინდივიდუალურად უნდა შეეცვალათ საკუთარი დამოკიდებულება და რწმენა იმისთვის, რომ დადგენილ პოლიტიკას მორგებოდნენ.

> *სახელმწიფო დონეზე ეს საკითხები გადაჭრილად ითვლება, თუმცა, ჩვენ, ხალხმა, უნდა გავიაზროთ ეს კარგად და შესაბამისად გამოვიყენოთ უფლებები და შესაძლებლობები, რასაც კანონი გვაძლევს. უფრო მეტად იმის საჭიროება დგას, რომ ჩვენ შევცვალოთ ჩვენი დამოკიდებულება და საზოგადოებრივი აზრი, - ეთნიკურად სომეხი, ქალი, 33 წლის.*

თუმცა, ერთ-ერთმა „აზრის ლიდერმა“ აღნიშნა, რომ ქალებისთვის მეტი შესაძლებლობა უნდა შეიქმნას, რომ უფრო მრავალფეროვან სამუშაოში ჩაერთონ. მან ასევე დაამატა, რომ ეს გადაჭრიდა ბევრ გამოწვევას, რაც ქალებს აწუხებს.

> *მეც ვფიქრობ, რომ ფუნდამენტური ცვლილებები გვჭირდება და ეკონომიკის სექტორების, განათლების სფეროს განვითარება და ა.შ. სისტემა უნდა შეიცვალოს მთლიანად. ქალებს მუშაობის უფრო მეტი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ. თუ ეს მოხდება, მაშინ ყველაფერი კარგად იქნება, - ეთნიკურად ქართველი, ქალი, 31 წლის.*

ერთმა კაცმა რესპონდენტმა თქვა, რომ ხალხის ცნობიერება უნდა ამაღლდეს იმ გამოწვევების შესახებ, რის წინაშეც ქალები დგანან, და კაცებთან თანაბარი სამუშაო და საგანმანათლებლო შესაძლებლობებზე წვდომის საჭიროების შესახებ.

> *ყველაფერი უნდა შეიცვალოს, მათ შორის თავად თაობა. ვფიქრობ, ცნობიერების ამაღლების მეტი კამპანია უნდა იყოს, განსაკუთრებით ისეთ თემებში, როგორიც ჩვენია. ბევრმა ხალხმა უნდა გაიგოს, რომ ქალებს სჭირდებათ სამუშაოსა და სწავლის იგივე შესაძლებლობები, რაც კაცებს. მესმის, რომ ეს ცვლილება ძალიან დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ აუცილებელია, - ეთნიკურად სომეხი, კაცი, 31 წლის.*

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მონაწილეთა ცვლილების სტრატეგიების განსხვავდებოდა, ზოგადი კონსენსუსი ის იყო, რომ გარკვეული ძალისხმევაა საჭირო იმისთვის, რომ ქალებისთვის იგივე უფლებები და შესაძლებლობები იყოს უზრუნველყოფილი, რაც კაცებს აქვთ. მიუხედავად ერთი კაცი რესპონდენტისა, რომელიც ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგებოდა, სხვა კაცი რესპონდენტები ეთანხმებოდნენ ქალებს და სჯეროდათ, რო გარკვეული ქმედებაა

საჭირო. ეს ეწინააღმდეგება მანამდე გამოთქმულ მოსაზრებებს იმასთან დაკავშირებით, რომ ქალების კაცებზე მეტი უფლება აქვთ, მაგრამ ასევე შეხედულებათა გარკვეულ შერბილებაზე მეტყველებს ფოკუს ჯგუფებში დისკუსიის მიმდინარეობისას.

კვლევის ქალმა მონაწილეებმა ერთხმად აღიარეს, რომ მეტია გასაკეთებელი იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქალებს კაცებთან თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები ჰქონდეთ. ქალი რესპონდენტები, ასევე, კაცებზე მეტად აკეთებდნენ იმ გამოწვევების იდენტიფიცირებას, რაც მათ თემში ან რეგიონის მასშტაბით ქალებს აწუხებთ. ზოგმა აღნიშნა, რომ მდგომარეობა გაუმჯობესებულია ქალების უფლებების პატივისცემის კუთხით, განსაკუთრებით სასწრაფო სამაშველო სამსახურის დახმარების სანდოობის კუთხით ოჯახში ძალადობის შემთხვევაში. თუცა, ქალებმა საკუთარ გამოცდილებაზეც ისაუბრეს და თქვეს, რომ არ შეეძლოთ სასურველი განათლების მიღება, ან საზოგადოება ცდილობდა მათ შერცხვენას, თუკი ბავშვებზე ზრუნვისა და სამსახურის შეთავსება უწევდათ.

კონსპირაციული თეორიებით გამოწვეული მღელვარების გამოვლენა

როდესაც საქართველოში კოვიდ-19-ის ვაქცინები საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა, აცრის გაკეთების მსურველთა რაოდენობა გასაკვირად მცირე იყო. 2021 წლის თებერვალში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 35% აპირებდა აცრას. ამ ყოყმანის ერთ-ერთი შესაძლო ახსნა დეზინფორმაციაა.[18] 2020 წელს ჩატარებულ გამოკითხვებში ასევე გამოვლინდა, რომ საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს სჯეროდა, რომ კოვიდ-19-ის ვირუსი ადამიანების მიერ იყო შექმნილი, ლაბორატორიიდან მოდიოდა, ზოგი იმასაც კი ვარაუდობდა, რომ მის გავრცელებას 5G ინფრასტრუქტურა უწყობდა ხელს, რაც იმ პერიოდში საკმაოდ ფართოდ გავრცელებული კონსპირაციული თეორია იყო.[19]

კიდევ ერთი პოპულარული სამედიცინო კონსპირაცია, კოვიდ-19-ის ვირუსამდე პერიოდშიც, აშშ-ს მიერ დაფინანსებულ რიჩარდ ლუგარის სახელობის საჯარო ჯანდაცვის კვლევის ცენტრს ეხებოდა თბილისში, რომელსაც ხშირად უბრალოდ ლუგარის ლაბორატორიის სახელით მოიხსენიებენ. კონსპირაციული თეორიის თანახმად, ლუგარის ლაბორატორიაში ხალხს სპეციალურად აინფიცირებდნენ გრიპის ვირუსით, რომ ადამიანებზე საიდუმლო ექსპერიმენტები ჩაეტარებინათ. ამ კონსპირაციას მხარს უჭერდნენ და აზიარებდნენ რუსეთის ოფიციალური პირები და ქართველი ულტრამემარჯვენე აქტივისტები. იმ პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, მოსახლეობის 20%-ს სჯეროდა ამ თეორიის, განსაკუთრებით კი მისი ეთნიკურად სომეხ მოსახლეობას სჯეროდა.[20]

[18] Sichinava, *Datablog: Georgia among worst in the world for vaccine hesitancy*, 2021.
[19] Khundadze, *Datablog: Half of Georgians believe COVID-19 is man-made*, 2020.
[20] Sichinava, Analysis: *Who is afraid of the Lugar Centre?*, 2019.

იმის გათვალისწინებით, რომ, გამოკითხვის თანახმად, ეთნიკურად სომეხ მოსახლეობას სხვა ჯგუფებთან შედარებით მეტად სჯეროდა კონსპირაციული თეორიების, მოცემულ კვლევაში ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების რესპონდენტებს სამცხე-ჯავახეთში შემდეგი კითხვები დაუსვეს:

1. კოვიდ პანდემიის პერიოდზე ფიქრისას, იმ საინფორმაციო საშუალებებში, საიდანაც ახალ ამბებს იღებდნენ, გახსენდებათ თუ არა ისეთი ინფორმაცია/ახალი ამბავი, რომელიც შეუსაბამოდ ან ყალბად მოგეჩვენათ? რამ მიგანიშნათ, რომ ეს ინფორმაცია შესაძლოა ყალბი ყოფილიყო? გადაამოწმეთ თუ არა ინფორმაციის წყარო? როგორ?
2. თქვენი აზრით, საიდან მოდის ყველაზე მეტი ყალბი ინფორმაცია/სიახლეები? ტელევიზიიდან, სოციალური მედიიდან, ფეისბუკიდან? ყველაზე მეტად ვისზე მოქმედებს ყალბი ინფორმაცია/ახალი ამბები? ვინ არის ყველაზე მოწყვლადი ამ კუთხით?

ეს კითხვები მიზნად ისახავდა იმის გარკვევას, თუ რამდენად შეეძლოთ ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების რესპონდენტებს დეზინფორმაციის იდენტიფიცირება და რა ხერხებს იყენებდნენ ამისთვის. ასევე, დეზინფორმაციის წყაროების გამოვლენას და იმის დადგენას, თუ ვინ უფრო მეტად მოწყვლადია მცდარი ინფორმაციის დაჯერების კუთხით.

კოვიდ პანდემიის პერიოდზე ფიქრისას, იმ საინფორმაციო საშუალებებში, საიდანაც ახალ ამბებს იღებდნენ, გახსენდებათ თუ არა ისეთი ინფორმაცია/ახალი ამბავი, რომელიც შეუსაბამოდ ან ყალბად მოგეჩვენათ? რამ მიგანიშნათ, რომ ეს ინფორმაცია შესაძლოა ყალბი ყოფილიყო? გადაამოწმეთ თუ არა ინფორმაციის წყარო? როგორ?

ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების რესპონდენტებმა იმედგაცრუება გამოხატეს იმის გამო, რომ პანდემიის დროს ძალიან რთული იყო კოვიდ-19-ის ვაქცინებზე სანდო ინფორმაციის მოპოვება. როგორც ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, „ყველგან და ყველაფერში დეზინფორმაცია იყო“. რადგანაც დეზინფორმაცია ასე ფართოდ იყო გავრცელებული, ზოგმა რესპონდენტმა გაიხსენა, რომ საერთოდ ხელი ჰქონდა ჩაქნეული სანდო ინფორმაციის მოპოვებაზე და ამ პერიოდში ახალ ამბებს ნაკლებად ადევნებდნენ თვალს. დეზინფორმაციის აღმოჩენის საკითხში რესპონდენტების თავდაჯერებულობის მიუხედავად, ზოგ რესპონდენტს მაინც სჯეროდა კონსპირაციის თეორიების. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა დაასაბუთა კოვიდ-19 ვაქცინაციაზე უარის თქმის საფუძველი:

> *ჩემთვის გასაკვირი არაფერი იყო, რადგანაც ყოველ 200 წელიწადში ერთხელ ასეთი ვირუსები იქმნება მოსახლეობის კონტროლის მიზნით. წავიკითხეთ და მოვისმინეთ ბევრი ინფორმაცია ასეთი ტიპის ვირუსებზე და მათ შედეგებზე და მათი მიზანია მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობის შემცირება. ბევრი განხილვა იყო კოვიდ-19-ის ვაქცინაციის საჭიროებაზე და იმაზე, რომ აცრის გარეშე ხალხი ვერ გადარჩებოდა, თუმცა, მჯეროდა, რომ ეს ნარატივები მცდარი იყო და ამიტომაც არ გავიკეთე აცრა, - ეთნიკურად სომეხი, ქალი, 43 წლის.*

სხვა რესპონდენტებმა სკეპტიკური დამოკიდებულება გამოხატეს ვირუსის სიმწვავისა და დაღუპულთა რაოდენობის მიმართ. მათი თქმით, მთავრობა მცდარად აწერდა ყველა სიკვდილს კოვიდის ვირუსს.

> *ჩემი აზრით, ფართოდ ვრცელდებოდა არასწორი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენი ადამიანი გარდაიცვალა კოვიდ-19 ვირუსით. ვფიქრობ, არ ჰქონდა მნიშვნელობა, რითი კვდებოდა ხალხი, მათ სიკვდილს მაინც ამ ვირუსს მიაწერდნენ, - ეთნიკურად სომეხი, ქალი, 37 წლის.*

> *ძალიან ბევრი მცდარი ინფორმაცია ვრცელდებოდა სიკვდილის რაოდენობის შესახებ. ვფიქრობ, მნიშვნელობა არ ჰქონდა, რითი კვდებოდა ხალხი პანდემიის დროს. მათ შემთხვევას მაინც კოვიდ-19-ის პანდემიას მიაწერდნენ, - ეთნიკურად ქართველი, კაცი, 40 წლის.*

სხვა რესპონდენტები კოვიდ-19-ის ვაქცინასთან დაკავშირებულ კონსპირაციულ თეორიებზე საუბრობდნენ, მათ შორის ამბებზე ლუგარის ლაბორატორიის შესახებ და ჭორებზე ბანანებთან დაკავშირებით, რომლებიც ვირუსით იყო გაჟღენთილი.

> *მახსოვს ინფორმაცია ვაქცინებზე, რაც ყალბად ჟღერდა. მოვისმინე, რომ კოვიდის ვაქცინები შეიძლება, დაავადების წყარო ყოფილიყო. ასევე, ზოგი ადამიანი საუბრობდა ბანანებზე, თითქოს ბანანები გამოიყენეს ვირუსის გასავრცელებლად. ბევრი დეზინფორმაცია ვრცელდებოდა ლუგარის ლაბორატორიასთან დაკავშირებითაც. მსმენია, რომ ლაბორატორია იყო პასუხისმგებელი საწამლავისა და ვირუსის გავრცელებაზე, - ეთნიკურად ქართველი, კაცი, 48 წლის.*

საერთო ჯამში, ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა უმეტესობამ იმედგაცრუება და დაბნეულობა გამოხატა კოვიდ-19-ის პანდემიის დროს სანდო ინფორმაციაზე წვდომის კუთხით. „აზრის ლიდერებმა“ კონსპირაციული თეორიების მიმართ ნდობა არ დააფიქსირეს, თუმცა, გაიზიარეს ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა ფრუსტრაცია ზუსტი ინფორმაციის ნაკლებობის გამო, ასევე, ხაზი გაუსვეს დამაბნეველ პოლიტიკას, რასაც მთავრობა ატარებდა ვირუსის შეჩერების მიზნით.

> *ერთი სიტყვით, ძალიან არალოგიკური ამბები ხდებოდა და იწვევდა შეუსაბამო ინფორმაციის გავრცელებას. ყველა კანონი და წესი, რაც მაშინ მიიღეს, აბსურდული და გაუგებარი იყო. შემდეგ ამას ვაქცინაციის საკითხები დაემატა და ასევე ახალი ამბები კოვიდ პასპორტის შესახებ, - ეთნიკურად სომეხი, ქალი, 51 წლის.*

იმის მიუხედავად, რომ კვლევის ბევრი მონაწილე თავდაჯერებულად გრძნობდა თავს დეზინფორმაციის ამოცნობის შესაძლებლობების კუთხით, ცხადი იყო, რომ ფოკუს ჯგუფის ზოგ მონაწილეზე, მათი ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, კოვიდ-19-თან დაკავშირებული კონსპირაციული მოსაზრებები გავლენას ახდენდა. დაწყებული იმით, რომ ვირუსი დაგეგმილი იყო გლობალური მოსახლეობის შემცირებისთვის, დამთავრებული იმით, რომ მთავრობა აზვიადებდა ვირუსის სიმწვავესა და დაღუპული ადამიანების რიცხვს, ამ

მოსაზრებებს სამცხე-ჯავახეთის თემში გარკვეული წარმატება ჰქონდა. სხვა რესპონდენტები ამბობდნენ, რომ დეზინფორმაცია იმ პერიოდში ყველგან იყო და ამის გამო ისინი ან საერთოდ აღარ მოიხმარდნენ საინფორმაციო მედიას ან ყველა წყაროს მომეტებული უნდობლობითა და სკეპტიკურობით უდგებოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ კოვიდ-19-თან დაკავშირებულ დეზინფორმაციას ეთნიკურად სომხებიც და ქართველებიც გარკვეული დოზით ენდობოდნენ, კონსპირაციის ბუნება განსხვავდებოდა. ორივე ჯგუფმა გამოხატა უნდობლობა მთავრობის მიერ ვირუსის სიმწვავისა და გარდაცვლილთა რაოდენობის გამოცხადებასთან დაკავშირებით და მხოლოდ ეთნიკურად სომეხმა რესპონდენტებმა გამოხატეს ნდობა ისეთი კონსპირაციული მოსაზრებებისა, როგორიცაა ის, რომ კოვიდ-19 გლობალური ძალების მიერ შეიქმნა მოსახლეობის კონტროლის მიზნით, ან რომ ეს ვირუსი ადამიანების მიერ შექმნილი ბიოლოგიური იარაღი იყო.

კვლევაში მონაწილე არცერთ „აზრის ლიდერს“ არ სჯეროდა კოვიდ-19-თან დაკავშირებული კონსპირაციული თეორიების. თუმცა, ისინი ყველანი იზიარებდნენ ვირუსთან დაკავშირებით სანდო ინფორმაციის ნაკლებობით გამოწვეულ ფრუსტრაციას და იმედგაცრუებას გამოხატავდნენ მთავრობის მიერ სიტუაციის მართვის გამო, რადგან, მათი აზრით, მთავრობის ქმედებები ძალიან დამაბნეველი იყო და გარკვეულ მიმართულებას არ იძლეოდა.

თქვენი აზრით, საიდან მოდის ყველაზე მეტი ყალბი ინფორმაცია/სიახლეები? ტელევიზიიდან, სოციალური მედიიდან, ფეისბუკიდან? ყველაზე მეტად ვისზე მოქმედებს ყალბი ინფორმაცია/ახალი ამბები? ვინ არის ყველაზე მოწყვლადი ამ კუთხით?

კვლევის თანახმად, ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების რესპონდენტები დარწმუნებულნი იყვნენ დეზინფორმაციის იდენტიფიცირების შესაძლებლობებში. თუმცა, როცა ჰკითხეს, რომ დაესახელებინათ, თუ ვინ იყო ყველაზე მოწყვლადი ყალბი ინფორმაციის მიმართ, მათი პასუხები განსხვავდებოდა. ზოგი ამბობდა, რომ ხანდაზმულ ადამიანებს მეტად სჯერათ ყალბი ინფორმაციას, სხვების აზრით, ახალგაზრდებს უფრო სჯეროდათ ყალბი ინფორმაციის. მსგავსად ამისა, ქალაქის მაცხოვრებლები ამბობდნენ, რომ სოფლებში ხალხს უფრო სჯეროდა ყალბი ინფორმაციის და პირიქით. რაც შეეხება დეზინფორმაციის წყაროებს, პასუხები აქაც განსხვავებული იყო. ზოგი ტრადიციულ საინფორმაციო მედიას ადანაშაულებდა, სხვები ყალბი ამბების წყაროდ სოციალურ მედიასა და ბლოგერებს ასახელებდნენ.

კვლევის ახალგაზრდა მონაწილეები უფრო მეტი ალბათობით ამბობდნენ, რომ ხანდაზმულები უფრო მოწყვლადები არიან ყალბი ინფორმაციის მიმართ. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ხანდაზმულთა შორის კრიტიკული აზროვნების ნაკლებობის ბრალია ის, რომ დეზინფორმაციის მიმართ წინასწარ განწყობილები არიან.

> *ჩემი აზრით, ამ მხრივ ყველაზე მოწყვლადები პენსიონრები და სტუდენტები არიან, თუმცა, ყველაზე მეტად ხანდაზმულები. მათ კრიტიკული აზროვნების უნარი*

ნაკლებად აქვთ განვითარებული და პირველივე ამბის სჯერათ, რასაც ნახავენ, - ეთნიკურად სომეხი, კაცი, 27 წლის.

კიდევ ერთმა ახალგაზრდა რესპონდენტმა დაამატა, რომ ხანდაზმულთა შორის ტელევიზიის მოხმარება მათ მოწყვლადობას განაპირობებს.

ჩემი აზრით, ხანდაზმულები იმის გამო, რომ ინფორმაციას მხოლოდ ტელევიზიით იღებენ და არ იციან, რას ნიშნავს ინფორმაციის მრავალფეროვნება. არ აქვთ სხვა წყაროების მოძიების გამოცდილება, - ეთნიკურად სომეხი, კაცი, 19 წლის.

ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების შედარებით უფროსი ასაკის რესპონდენტები ამბობდნენ, რომ ახალგაზრდები უფრო შეიძლება, დეზინფორმაციის მსხვერპლი გახდნენ სოციალურ მედიაში მათი ქცევისა და გამოცდილების ნაკლებობის გამო.

მე ვფიქრობ, ახალგაზრდები ყველაზე მოწყვლადები არიან დეზინფორმაციის მოხმარების მიმართ იმიტომ, რომ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება არ აქვთ, - ეთნიკურად სომეხი, კაცი, 41 წლის.

ჩემი აზრით, ადამიანები, ვინც ტელევიზიაზე ან ინტერნეტზეა დამოკიდებული, ყველაზე მოწყვლადები არიან ასეთი ინფორმაციის მოხმარების მიმართ. ახალგაზრდები არიან ყველაზე მოწყვლადები, რადგანაც არ აქვთ შესაბამისი ცოდნა იმისთვის, რომ განასხვავონ ნამდვილი და ყალბი ინფორმაცია ერთმანეთისგან, - ეთნიკურად ქართველი, კაცი, 48 წლის.

სხვა რესპონდენტებმა ყალბი ინფორმაციის წყაროების იდენტიფიცირება სცადეს. ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ ყველაზე ხშირად დეზინფორმაციის წყარო სოციალური მედიაა. მისი აზრით, ბლოგერები სპეციალურად ავრცელებენ სენსაციურ ახალ ამბებს და ცრუობენ იმ მიზნით, რომ უფრო დიდ აუდიტორიას მიაწვდინონ ხმა და უფრო მიმზიდველები გახდნენ სპონსორებისთვის.

ახლა ძალიან პოპულარულია ინდივიდების მიერ ინფორმაციის გავრცელება. თუ ავიღებთ ბლოგერებს, მაგალითად, ისინი ცდილობენ სენსაციური და არარეალური ინფორმაციის ან ახალი ამბების გავრცელებას, რაც ტყუილია, მაგრამ ლაიქების ან ფინანსური მხარდაჭერის გამო აკეთებენ ამას და ეს ყველაფერი სოციალურ ქსელებში ხდება, - ეთნიკურად სომეხი, ქალი, 23 წლის.

ფოკუს ჯგუფის სხვა მონაწილე მხარს უჭერდა მოსაზრებას, რომ დეზინფორმაციის უპირველესი წყარო ტელევიზიაა და ყველა მოწყვლადია ყალბი ინფორმაციის მიმართ; თუმცა, სოფლებში და მიუწვდომელ ადგილებში მცხოვრები ადამიანები განსაკუთრებით ადვილად იჯერებენ მას.

ჩემი შეხედულებით, რაღაც დონეზე ყველა მოწყვლადია დეზინფორმაციის მიმართ. თუმცა, ისინი, ვინც მხოლოდ ტელევიზიაზეა დამოკიდებული, უფრო მოწყვლადია, რადგანაც არ შეუძლიათ ინფორმაციის გადამოწმება. ხალხი, ვინც სოფლებში

ცხოვრობს, ვინც მთაში ცხოვრობს, შეიძლება, უფრო მოწყვლადი იყოს ყალბი ინფორმაციის მიმართ, - ეთნიკურად ქართველი, ქალი, 31 წლის.

„აზრის ლიდერების“ უმრავლესობა, ვინც სიღრმისეულ ინტერვიუებში მონაწილეობდა, იზიარებდა მოსაზრებას, რომ სოციალური მედიაა დეზინფორმაციის უპირველესი წყარო. როგორც ერთ-ერთმა ახსნა, მიუხედავად იმისა, რომ ყალბი ინფორმაცია ყველგან ვრცელდება, ყველაზე ადვილად მისი გავრცელება მაინც „ფეისბუქზე“ ხდება ნაცნობებს, მეგობრებსა და ოჯახის წევრებს შორის, რომლებიც გარკვეულ სტატიებს ინფორმაციის გადამოწმების გარეშე აზიარებენ. კიდევ ერთმა „აზრის ლიდერმა“ განამტკიცა ეს გამოწვევა:

სოციალურ ქსელებში ძალიან ბევრი ყალბი ინფორმაცია ვრცელდება. ჩვეულებრივი ხალხისთვის რთულია იმის გაგება, რა დაიჯეროს და რა - არა. ბევრ მათგანს ინფორმაციის წყაროს გადამოწმების საშუალებაც არ აქვს და უფრო მოწყვლადია ყალბი ინფორმაციის მიმართ, - ეთნიკურად სომეხი, ქალი, 51 წლის.

ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების შედეგები აჩვენებს, რომ ყალბი ინფორმაციის ამოცნობისა და გააზრების მხრივ თავდაჯერებულობის მიუხედავად, რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ დეზინფორმაცია კრიტიკული საკითხია. მათ ასევე სჯერათ, რომ ის დემოგრაფიული ჯგუფები, რომლებსაც თავად არ მიეკუთვნებიან, უფრო მოწყვლადები არიან დეზინფორმაციის მიმართ. რესპონდენტებმა ყალბი ახალი ამბების სხვადასხვა წყარო დაასახელეს. ზოგი ტელევიზიას ადებდა ხელს, თუმცა, სხვები და სიღრმისეული ინტერვიუს თითქმის ყველა რესპონდენტი ამაში სოციალურ მედიას ადანაშაულებდა და ინფორმაციის გაცვლის ბუნებას ამ პლატფორმებზე, რაც ხელს უწყობდა ყალბი ახალი ამბების გავრცელებას.

დასკვნა

ანტი დასავლური (ევროკავშირის საწინააღმდეგო) განწყობების გაღვივება

ევროკავშირში გაწევრიანებისადმი საქართველოს განზრახვის მიმართ მაღალი ეროვნული მხარდაჭერის შესაბამისად, ფოკუს ჯგუფ დისკუსიებისა და სიღრმისეული ინტერვიუების რესპონდენტთა ზოგადი განწყობა დასავლეთის მიმართ დადებითი იყო. მიუხედავად რუსული და ექსტრემისტული კონსერვატიული ჯგუფების, როგორიცაა „ალტ-ინფო“, ძალისხმევისა, რომ რეგიონში ანტიდასავლური განწყობები გააღვივონ, კვლევის მონაწილეები დასავლეთის ქვეყნების მიმართ მაინც დადებით აღქმას და დამოკიდებულებას გამოხატავდნენ. როდესაც ინფორმაციის წყაროებზე ჰკითხეს, არავინ დაასახელა უკიდურესი მემარჯვენე წყაროები. რესპონდენტებისთვის ინფორმაციის ძირითადი წყარო ეთნიკურად ქართველების შემთხვევაში ეროვნული საინფორმაციო არხები იყო, ხოლო ეთნიკურად სომხების შემთხვევაში - ადგილობრივი სომხურენოვანი მედია საშუალებები. თუმცა, ეთნიკურად სომეხ რესპონდენტებს შორის რუსულენოვანი მაუწყებლებიც საკმაო პოპულარობით სარგებლობდა.

სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკურად სომეხი რესპონდენტების მიერ დასახელებული ახალი ამბების წყაროები მოიცავდა: „რადიო ნორს“, „ფარვანა ტვ-ს“ და „ალიქ მედიას“. ყველა მათგანი სომხურ ენაზე გადმოსცემს ინფორმაციას. მათ გარდა, დასახელდა რუსული არხები, მათ შორის: რუსეთის პირველი არხი, „ერ-ტე-ერი“, და „ო-ერ-ტე“. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მონაწილეებმა ინფორმაციის წყაროდ რუსული არხები დაასახელეს, გარკვეულ სიფრთხილეს ამჟღავნებდნენ მათ ნდობასთან დაკავშირებით და ადგილობრივ მედიას ანიჭებდნენ უპირატესობას. რესპონდენტები ასევე მიუთითებდნენ, რომ ახალ ამბებს უმეტესად სოციალური მედიიდან და სოციალურ მედიაში მედია საშუალებების გვერდებიდან იღებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მონაწილეებმა ინფორმაციის სასურველი წყაროები დაასახელეს, აღნიშნეს, რომ ზოგადად ნაკლებად ენდობიან მედიას და სანდო ახალ ამბებზე წვდომა მათთვის გამოწვევას წარმოადგენს. საინფორმაციო მედიის მიმართ საკუთარი სკეპტიკური დამოკიდებულების გასაფანტად რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი ამბებს მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან და თანამშრომლებთან ამოწმებენ.

საქართველოში აშშ-სა და ევროკავშირის პოლიტიკის შესახებ შეკითხვაზე ორივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებმა დადებითი აღქმა დააფიქსირეს. კვლევის მონაწილეებმა რამდენჯერმე აღნიშნეს, რომ ევროკავშირი ეკონომიკურად ძლიერია და საქართველოსთვის ბევრი რამის შეთავაზება შეუძლია ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებით. მათ ასევე დააფიქსირეს, რომ დასავლეთის ქვეყნები უფრო სანდოა საქართველოს ჩრდილოელ მეზობელთან შედარებით.

რუსეთთან კავშირების ეკონომიკური უპირატესობის შეფასება

საქართველოს მოსახლეობაში რუსეთის მიმართ მზარდი უარყოფითი განწყობის შესაბამისად, კვლევის მონაწილეები უმეტესად ევროკავშირთან ეკონომიკურ პარტნიორობას ამჯობინებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტებს არ გამოუთქვამთ რუსეთსა და საქართველოს შორის მეგობრობის სურვილი, ბევრმა ამ ჰიპოთეტური პარტნიორობის შესაძლო ეკონომიკურ სარგებელზეც ისაუბრა. განსაკუთრებით ეთნიკურად სომეხმა რესპონდენტებმა, ვინც თქვა, რომ ეს გააადვილებდა რუსეთში მცხოვრებ ოჯახის წევრებთან კონტაქტს და გაუმჯობესდებოდა სამუშაოდ რუსეთში წასვლის შესაძლებლობები. სხვა რესპონდენტებმა დაამატეს, რომ ეკონომიკური თანამშრომლობის გაუმჯობესებას შესაძლოა, შედეგად უფრო იაფი პროდუქცია მოჰყოლოდა მაშინ, როცა უმეტესობას სჯეროდა, რომ ევროკავშირთან სამომავლო დაახლოება ფასების ზრდას გამოიწვევდა.

რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების შემთხვევაში ამ ქვეყანაში მოგზაურობის გაადვილებასა და უფრო იაფ პროდუქციაზე საუბრის მიუხედავად, როგორც ეთნიკურად სომეხი, ასევე ეთნიკურად ქართველი რესპონდენტები უნდობლობას ამჟღავნებდნენ რუსეთის მიმართ. ეთნიკურად ქართველებში უნდობლობის მიზეზი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/სამაჩაბლოს რეგიონების ოკუპაციას უკავშირდებოდა, ხოლო ეთნიკურად სომეხ

რესპონდენტებში იმ აღქმას, რომ მთიან ყარაბაღში რუსეთმა მიატოვა მშვიდობისმყოფელის მისია.

მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტების ნაწილმა საქართველოს ჩრდილოელი მეზობლის მიმართ უფრო პრაგმატული დამოკიდებულება დააფიქსირა და განმარტა, რომ გარკვეულ დონეზე თანამშრომლობა აუცილებელია, კვლევის მონაწილეთა უმრავლესობამ გამოხატა სურვილი, რომ საქართველო რუსეთისგან დისტანცირდეს. რესპონდენტების უმეტესობა თანხმდება იმაზე, რომ საქართველო მეტ სარგებელს დასავლეთის ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობით მიიღებს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ეთნიკურად სომეხ რესპონდენტებს, რომლებიც რუსეთთან თანამშრომლობას ანიჭებდნენ უპირატესობას, ამის მიზეზად მოჰყავდათ ის, რომ რეგიონში ბევრი ოჯახი რუსეთიდან გამოგზავნილ ფულზეა დამოკიდებული და ურთიერთობების დასრულება მათთვის შემოსავლის ამ წყაროს დაკარგვას ნიშნავდა.

საქართველოს რუსეთთან კონფლიქტში ჩართვასთან დაკავშირებული რისკების აღქმის ანალიზი

ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების რესპონდენტების დიდი ნაწილი მიიჩნევდა, რომ საქართველო ისედაც საომარ მდგომარეობაში იმყოფება რუსეთთან. ისინი ახსენებდნენ „ბორდერიზაციის“ პროცესს ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის რეგიონში. რუსეთსა და საქართველოს შორის ომის მოგონებები ჯერ კიდევ მძაფრად კვებავდა ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობების აღქმას. თუმცა, ამ კონფლიქტს უფრო ხშირად ეთნიკურად ქართველები ახსენებდნენ, ხოლო ეთნიკურად სომხები რუსეთის ღალატზე საუბრობდნენ მთიან ყარაბაღთან მიმართებით. დანარჩენები მიიჩნევდნენ, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის შემდგომ კონფლიქტზე გავლენას სხვა კონფლიქტების შედეგები ახდენს, როგორიცაა უკრაინაში მიმდინარე ომი. ზოგი რესპონდენტი აღნიშნავდა, რომ საქართველოში რუსების შემოსვლა ომის პოტენციურ რისკს წარმოადგენდა, რითიც პრეზიდენტ ზურაბიშვილის გაფრთხილებას ეხმიანებოდნენ, რომ რუსეთი საკუთარ მოქალაქეებს საზღვარგარეთ აგზავნის იმისთვის, რომ შემდეგ მათი დაცვის საბაბით ქვეყანაში შეიჭრას.[21] თუმცა, პარადოქსულად, სხვა რესპონდენტები ამბობდნენ, რომ პირიქით, საქართველოში რუსი მოქალაქეების ყოფნა ომის მოხდენას უშლის ხელს.

კვლევის მონაწილეებს უსაფრთხოების განსხვავებული შეგრძნება ჰქონდათ. ზოგი ამბობდა, რომ საქართველოს მთავრობა ამწვავებს კონფლიქტს იმით, რომ ევროკავშირთან ინტეგრაციას ცდილობს, ზოგი კი პირიქით მიიჩნევდა, რომ მმართველი პარტიის პრორუსული პოზიცია კონფლიქტის თავიდან აცილებას უწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ ისინიც კი, ვინც ამბობდნენ, რომ მმართველი პარტია და პრემიერმინისტრი ღარიბაშვილი ომის თავიდან აცილებას ახერხებენ, მხარს არ უჭერდნენ მათ პოლიტიკას.

[21] ISPI, *The Impact of Russian Migration in Georgia*, 2023.

ორივე, ეთნიკურად სომეხი და ეთნიკურად ქართველი რესპონდენტები ხაზს უსვამდნენ იმას, რომ რუსეთი რეგიონში იმპერიალისტურ ძალას წარმოადგენს. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა ჩამოაყალიბა, რუსეთის მიზანია რეგიონში ქვეყნების დესტაბილიზაცია იმისთვის, რომ ისინი საკუთარი გავლენის სფეროში ამყოფოს. სხვა რესპონდენტმა განმარტა, რომ იმის მიუხედავად, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის მეგობრობას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს, შეუძლებელია იმის ცოდნა, თუ რამდენად აგვაცილებს ეს თავიდან კონფლიქტს, რადგანაც „მათ უნდათ, რომ ვემორჩილებოდეთ". მიუხედავად იმისა, რომ ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების რესპონდენტები იმედოვნებდნენ, რომ საქართველო ევროკავშირთან ურთიერთობას გააუმჯობესებდა, მათი მოლოდინით, ამას პოტენციურად კონფლიქტის გამოწვევაც შეეძლო.

გენდერის საკითხებთან დაკავშირებული ნარატივების შესწავლა

ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუს შედეგები აჩვენებს, რომ განსხვავებულია ტრადიციული გენდერული როლებისა და ქალების უფლებებთან და თავისუფლებებთან მათი კავშირის გაგება. ბევრმა აღნიშნა, რომ რეგიონში ხშირია ქალებისთვის გადაადგილების შეზღუდვა, რაც ოჯახში მხოლოდ კაცებისთვისაა ნებადართული. გარდა ამისა, ქალებს ნაკლებად აქვთ წვდომა დასაქმებისა და განათლების შესაძლებლობებზე და მათ მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ დაქორწინების შემდეგ მიატოვებენ სწავლასა და სამსახურს. საბოლოოდ, რეგიონში გავრცელებულია ისეთი პრობლემები, როგორებიცაა ოჯახში ძალადობა, და განქორწინება ტაბუირებულ თემად მიიჩნევა. სხვადასხვა დემოგრაფიულ ჯგუფში დამოკიდებულებები განსხვავდებოდა.

ორივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელ კაც რესპონდენტებს, მიუხედავად მათი დასახლების ტიპისა, უჭირდათ იმ გამოწვევების დასახელება, რაც ქალებს აწუხებთ. ზოგმა ისიც თქვა, რომ ქალები გენდერის გამო არანაირ ბარიერს არ აწყდებიან, ან უფრო მეტი უფლება და შესაძლებლობა აქვთ, ვიდრე კაცებს. კვლევის ერთი მონაწილე ამტკიცებდა, რომ ქალთა უფლებების გაუმჯობესების ინიციატივები საფრთხის ქვეშ აყენებს ტრადიციულ ღირებულებებს. კიდევ ერთმა რესპონდენტმა გამოხატა აზრი, რომ ქალებისთვის სამუშაოს კუთხით ბარიერები არსებობს, რადგან კაცებს კრიტიკული გადაწყვეტილების მიღების უნარი მეტად აქვთ, ვიდრე ქალებს. სხვებმა, განსაკუთრებით ქალაქის მოსახლეობამ, აღნიშნეს, რომ ქალებისთვის გამოწვევებიც არსებობს და ბარიერებიც, თუმცა, არა უშუალოდ მათ დასახლებაში, სადაც მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესებულია.

კვლევის ქალმა მონაწილეებმა საკუთარ გამოცდილებას ისაუბრეს და აღნიშნეს, რომ ცრურწმენებსა და არათანასწორ მოპყრობას აწყდებიან საკუთარი სქესის გამო. როგორც ერთ-ერთმა ქალმა რესპონდენტმა აღნიშნა, მშობლების ჩარევის გამო მას არ ჰქონდა სწავლის გაგრძელების ან სამსახურის პოვნის საშუალება. კვლევის კიდევ ერთმა ქალმა მონაწილემ თქვა, რომ ოჯახში გადაწყვეტილების მთავარ მიმღებად ისევ კაცები რჩებიან და ბევრი ქალს დამოუკიდებლად სახლიდან გასვლის საშუალებასაც კი არ აძლევს. მიუხედავად იმისა, რომ

ზოგმა ქალმა რესპონდენტმა თქვა, რომ იგივე უფლებები აქვთ, რაც კაცებს, დანარჩენები არ დაეთანხმნენ. ერთი რესპონდენტის განმარტებით, ქალებისთვის ძალიან შეზღუდულია დასაქმების შესაძლებლობები, რადგანაც მათთვის მისაღებად მხოლოდ რამდენიმე პროფესია ითვლება. გარდა ამისა, თუკი ქალს ოჯახი ჰყავს და მუშაობას აგრძელებს, თემი მას განიკითხავს და მის მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ სახლში უნდა იყოს და ოჯახს მოუაროს. ამ გამოწვევების მიუხედავად, კვლევის ზოგ მონაწილეს სჯერა, რომ გარკვეული გაუმჯობესება არსებობს, მაგალითად, მეტი სანდოობა სამართალდამცავების მიმართ ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინებისას. ასევე, პროფესიული ტრენინგების არსებობა ქალებისთვის.

რეგიონში ქალებისთვის მდგომარეობის გაუმჯობესების განსხვავებული სტრატეგიები დასახელდა. ბევრმა რესპონდენტმა, როგორც ქალმა, ასევე კაცმა, უფროსი თაობები დაადანაშაულა არსებული გენდერული დინამიკის შექმნაში და განმარტა, რომ სანამ ისინი ცოცხლები არიან, არსებული გამოწვევების მოგვარება ძალიან რთულია. კვლევის სხვა მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მეტი ტრენინგი და დასაქმების თანაბარი შესაძლებლობები ქალების მდგომარეობას გააუმჯობესებს. ერთმა კაცმა რესპონდენტმა დაამატა, რომ გენდერის საკითხებზე ინფორმაცია და განათლება კაცებისთვისაც უნდა იყოს ხელმისაწვდომი, რადგანაც ბევრმა არ იცის, თუ რა ბარიერების წინაშე დგანან ქალები, ან საერთოდ გენდერის ცნება რას ნიშნავს. ორივე სქესის რამდენიმე რესპონდენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ მნიშვნელოვანია ქალების წახალისება, რომ მათ უმაღლესი განათლება მიიღონ, რადგანაც ესეც გააუმჯობესებს მათ წვდომას უფლებებსა და შესაძლებლობებზე.

კონსპირაციული თეორიებით გამოწვეული მღელვარების გამოვლენა

საერთო ჯამში, ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუები მონაწილეები დარწმუნებულნი იყვნენ საკუთარ შესაძლებლობებში დეზინფორმაციის, ყალბი ახალი ამბებისა და კონსპირაციული თეორიების იდენტიფიცირების კუთხით. ამის მიუხედავად, ზოგმა რესპონდენტმა დააფიქსირა მოსაზრება, რომელიც თავისთავად ყალბ ინფორმაციას ეფუძნებოდა. ბევრმა ახსენა კოვიდ-19-ის ვირუსთან დაკავშირებული არასწორი აღქმები, კოვიდის გავრცელების საწინააღმდეგო სამთავრობო პოლიტიკა და ყალბი ინფორმაცია, რაც ისეთი ინსტიტუციების წინააღმდეგ ვრცელდებოდა, როგორიცაა ლუგარის ლაბორატორია.

ეროვნული გამოკითხვის შედეგებით, საქართველოს ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა უფრო ადვილად იჯერებს დეზინფორმაციასა და კონსპირაციის თეორიებს.[22] ფოკუს ჯგუფების შედეგები გარკვეულწილად ადასტურებს ამ მიგნებას, რადგანაც ერთმა დააფიქსირა თავისი რწმენა გლობალური კონსპირაციის თეორიის მიმართ, რომ კოვიდ-19-ის ვირუსის შექმნა მოსახლეობის შემცირებას ისახავდა მიზნად. კიდევ ერთმა რესპონდენტმა დაამატა, რომ ვაქცინების ეფექტურობა გაზვიადებული იყო და სწორედ ამ მიზნით არჩია, აცრა არ

[22] Sichinava, *Who is afraid of the Lugar Centre?*, 2019.

გაეკეთებინა. ზოგი ეთნიკურად ქართველი და ეთნიკურად სომეხი რესპონდენტი მიიჩნევდა, რომ მთავრობა სხვა მიზეზით გარდაცვლილთა რაოდენობასაც ზედმეტად აწერდა ამ ვირუსს.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობამ კითხვებზე პასუხის გაცემისას კონსპირაციულ თეორიებზე არ ისაუბრა, ბევრმა გამოხატა იმედგაცრუება იმასთან დაკავშირებით, რომ კოვიდ პანდემიის პერიოდში სანდო ინფორმაციის ნაკლებობა იყო. „აზრის ლიდერებმა“ სიღრმისეულ ინტერვიუებში აღნიშნეს, რომ კოვიდ-19-ის პანდემიის დროინდელი ინფორმაციის უმეტესობა ყალბად მიიჩნეოდა. გარდა ამისა, მათი განმარტებით, იმ პერიოდში მთავრობის პოლიტიკა ძალიან დამაბნეველი იყო და ირაციონალური, რაც კიდევ უფრო ამწვავებდა საზოგადოების მძიმე განწყობას.

საერთო ჯამში, კვლევის მონაწილეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ყალბი ინფორმაცია ყველგან დიდი დოზითაა. ახალგაზრდა რესპონდენტები ამბობდნენ, რომ ხანდაზმულები შეიძლება, უფრო მოწყვლადები იყვნენ დეზინფორმაციის მიმართ. უფროსი ასაკის რესპონდენტები კი ახალგაზრდებზე ამბობდნენ იმავეს. გარდა ამისა, ზოგს სჯეროდა, რომ სოფლებში და მიუვალ ადგილებში მცხოვრები ადამიანები უფრო ადვილად იჯერებდნენ ყალბ ინფორმაციას, ვიდრე ისინი, ვინც ქალაქებში ცხოვრობდნენ. ტელევიზია, სოციალური მედია და ბლოგერები დაასახელეს ყალბი ახალი ამბების წყაროებად. „აზრის ლიდერები“ სოციალურ მედიაში ინფორმაციის გაცვლის ბუნებას აბრალებდნენ იმას, რომ დეზინფორმაცია ასე სწრაფად და ადვილად ვრცელდება, რადგანაც ბევრი ადამიანი სოციალურ მედიაში ისე აზიარებდა ამბებს, რომ ინფორმაციის სისწორეს არ ამოწმებდა.

ბიბლიოგრაფია

Barseghyan, Arshaluys. “The last bus out of Nagorno-Karabakh”, *OC Media*, 6 Oct. 2023. https://oc-media.org/features/the-last-bus-out-of-nagorno-karabakh/

Chkhaidze, Anna. “Whispers of Influence: Youth Engagement with Alt-info’s Soft Power Perceptions”. *Lund University*. 2023. Pp. 35-36.

Civil.ge. „TI საქართველო: 2022 წელს საქართველოს რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულება გაიზარდა“. *Civil.ge*. 22, თებ. 2023. https://civil.ge/ka/archives/526737

Freedom House, “Nations in transit 2023”. *Freedom House:* 2023. https://freedomhouse.org/country/georgia/nations-transit/2023

საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS). „მედიის მდგომარეობა საქართველოში“. *GRASS:* 2022. https://grass.org.ge/uploads/other/2022-06-21/1400.pdf

გოგოლაძე, თინათინ და თამარ კინწურაშვილი. „ანტიგენდერული და ანტი-ლგბტქი მობილიზება საქართველოში”. *მედიის განვითარების ფონდი:* 2023. https://mdfgeorgia.ge/uploads//Gender-3-GEO-web.pdf

Italian Institute for International and Political Studies (ISPI), “The Impact of Russian Migration in Georgia” *ISPI*, Nov. 6, 2023. https://www.ispionline.it/en/publication/the-impact-of-russian-migration-in-georgia-151256#:~:text=In%20her%20Independence%20Day%20speech,of%20Russians%20and%20their%20activities.

Kulick, Jonathan and Eka Metreveli. “Social Relations and Governance in Javakheti, Georgia.” *PDCI* and *GFSIS*, April, 2009. https://citeseerx.ist.psu.edu/document?repid=rep1&type=pdf&doi=837aeeb96f624138b53bdcdd5e50cd2094efe81e

Khundadze, Tsisana. “Datablog: Half of Georgians believe COVID-19 is man-made”. *OC Media*, 20, Oct. 2020. https://oc-media.org/features/datablog-half-of-georgians-believe-covid-19-is- man-made/

Petrov, Roman. “Constitutional challenges for the implementation of association agreements between the EU and Ukraine, Moldova, and Georgia”. European Public Law, Vol. 21, Issue 2 (2015), pp. 2.

Shoshiashvili, Tata. “Family of 14-year-old murdered in Georgia charged with complicity in her early marriage”, *OC Media*, 12 Oct. 2023. https://oc-media.org/family-of-14-year-old-murdered-in-georgia-charged-with-complicity-in-her-early-marriage/

Sichinava, David. “Analysis: Who is afraid of the Lugar Centre?” *OC Media*, 9 Jul. 2019. https://oc-media.org/features/analysis-who-is-afraid-of-the-lugar-centre/

Sichinava, David. “Datablog: Georgia among worst in the world for vaccine hesitancy”. *OC Media*, 30, Mar. 2021. https://oc-media.org/features/datablog-georgia-among-worst-in-the-world-for-vaccine-hesitancy/

სილაგაძე, გივი. „რუსი იმიგრანტების ცხოვრება საქართველოში“. *CRRC-საქართველო*, 2023. გვ. 8. https://crrc.ge/uploads/tinymce/documents/NED/NED%20Russians%20report%20v3_GEO.pdf

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, CRRC-საქართველო. (2021) „კავკასიის ბარომეტრი“. ამოღებულია მონაცემთა ონლაინ ანალიზის გვერდიდან - http://caucasusbarometer.org 9 ნოემბერს, 2023.

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, CRRC-საქართველო. (2022) „NDI: მოსახლეობის დამოკიდებულებები საქართველოში, დეკემბერი 2022". ამოღებულია მონაცემთა ონლაინ ანალიზის გვერდიდან - http://caucasusbarometer.org 7 ნოემბერს, 2023.

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, CRRC-საქართველო. (2023) "NDI: მოსახლეობის დამოკიდებულებები საქართველოში, მარტი 2023". ამოღებულია მონაცემთა ონლაინ ანალიზის გვერდიდან - http://caucasusbarometer.org 7 ნოემბერს, 2023.

დანართები

დანართი 1: ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების გზამკვლევი

<u>ფოკუს-ჯგუფისა და სიღრმისეული ინტერვიუების გზამკვლევის მონახაზი:</u>

შესავალი (*10 წუთი)

- *მოდერატორის გაცნობა*
- *კვლევის მიზანი: ქვეყნის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ მოსაზრებების შეგროვება და ინფორმაციის წყაროების/მოხმარების პრაქტიკის შესწავლა*
- *ანონიმურობა: მოდერატორი მონაწილეებს აუხსნის, რომ მათი პირადი მონაცემები კვლევის მასალებში არსად დაფიქსირდება. ამის გამოა, რომ მათ სახელებს გადავარქმევთ. დისკუსიის ჩანაწერი გაკეთდება, რომელიც ტრანსკრიპტის მომზადების შემდეგ განადგურდება. კვლევაში მონაწილეები წარმოდგენილნი იქნებიან მათი ძირითადი დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით.*

- მონაწილეებს: გთხოვთ, წარადგინოთ თავი (მითხარით თქვენი ასაკი, დასაქმებული ხართ თუ არა) და გაიხსენოთ რაიმე დასამახსოვრებელი/სენსაციური ინფორმაცია, რომელიც ბოლოს შეგხვდათ.

სექცია I: ანტი-დასავლური (ანტი-ევროპული) განწყობების გაღვივება (*20 წუთი)

1. **ძირითადად რომელ საინფორმაციო მედია საშუალებებს მოიხმართ? ეს მედია საშუალებები ადგილობრივია თუ უცხოური? გთხოვთ, დამისახელოთ ის წყაროები, რომლებსაც რეგულარულად იყენებთ?**

- **თქვენი აზრით, რამდენად სანდოა თქვენს მიერ დასახელებული მედია საშუალებები?**
- **არიან თუ არა თქვენ გარშემო ადამიანები, ვისგანაც სანდო ინფორმაციას იღებთ? ვინ არიან ეს ადამიანები?** [მოდერატორს: არ არის საჭირო სახელების და გვარების დასახელება; მხოლოდ ის გვაინტერესებს, რას წარმოადგენენ ეს ადამიანები და რატომ ენდობა რესპონდენტი მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას]?

2. თქვენი აზრით, რა არის ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის პოლიტიკის მიზნები საქართველოში?

- საიდან ფლობთ ამ ინფორმაციას? ვინ მოგაწოდათ ეს ინფორმაცია?
- რა გავლენას ახდენს ეს მიზნები და პოლიტიკა თქვენზე?
- თუკი საქართველო ევროკავშირის წევრი გახდება, თქვენი აზრით, რა მოხდება? რა ცვლილებებს გამოიწვევს? *[მოდერატორს: ჰკითხეთ როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ცვლილებების შესახებ]*

სექცია II: რუსეთთან კავშირების ეკონომიკური უპირატესობის შეფასება ევროკავშირთან კავშირის საპირწონედ (*20 წუთი)

3. თუკი საჭირო გახდება არჩევანის გაკეთება რუსეთთან კავშირებსა და ევროკავშირში გაწევრიანებას შორის, რომელს აირჩევდით და რატომ?

- (მათ, ვინც ამბობს, რომ „რუსეთი რეგიონის სუპერ-ძალაა“ ან „რუსეთი დასავლეთისგან გვიცავს“) რას ფიქრობთ მთიან ყარაბაღში მიმდინარე მოვლენებზე? განსხვავებული მოსაზრებები არსებობს მთიანი ყარაბაღის ომში რუსეთის როლთან დაკავშირებით, თქვენ რას ფიქრობთ?

4. თუკი საქართველო რუსეთთან დაახლოების გზას აირჩევს, რა გავლენას მოახდენს ეს თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე, თქვენს ეკონომიკურ მდგომარეობაზე? თუკი ევროკავშირთან დაახლოებას აირჩევს, ამას რა გავლენა ექნება თქვენს ყოველდღიურობაზე და თქვენს ეკონომიკურ მდგომარეობაზე?

სექცია III: საქართველოს რუსეთთან კონფლიქტში ჩართვის რისკის აღქმა (*20 წუთი)

5. რამდენად მოსალოდნელად მიგაჩნიათ საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტის დაწყება და რატომ? რაზე დაყრდნობით ფიქრობთ ამას, ვინ მოგაწოდათ ეს ინფორმაცია?

6. რას ფიქრობთ საქართველოს მიმდინარე პოლიტიკაზე რუსეთთან დაკავშირებით? თქვენი აზრით, შესაძლებელია თუ არა რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება? უნდა გააუმჯობესოს თუ არა საქართველომ რუსეთთან ურთიერთობა? რატომ ფიქრობთ ასე?

სექცია IV: გენდერის საკითხებთან, განსაკუთრებით, ქალთა უფლებებთან, დაკავშირებული ნარატივების შესწავლა (*20 წუთი)

7. რა არის ქალებთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები თქვენს თემში/დასახლებაში?

8. მიგაჩნიათ თუ არა, რომ თქვენს თემში/დასახლებაში ქალებს იგივე უფლებები აქვთ (მუშაობის, საკუთრების ქონის, განათლების მიღების უფლება და ა.შ.), რაც კაცებს?

- თუ არა, რა უფლებებია, რომლებიც არ აქვთ ქალებს და რა ბარიერებს აწყდებიან ქალები?
- თქვენს თემში/დასახლებაში თუ აწუხებს ხალხს ქალთა უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები? კერძოდ, რომლები? რაში გამოიხატება მათი წუხილი?

9. თვლით თუ არა, რომ რაღაც უნდა შეიცვალოს, რათა ქალებს მიეცეთ მეტი უფლებები და შესაძლებლობები? რა უნდა შეიცვალოს?

- (თუკი აქამდე არ ახსენეს) რა არის ის გამოწვევები, დაბრკოლებები, ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის ქალებს ამ შესაძლებლობების გამოყენებაში?

სექცია V: სამედიცინო ექსპერიმენტებთან, მაგალითად, ლუგარის ლაბორატორიასთან, დაკავშირებული კონსპირაციული თეორიებით გამოწვეული მღელვარების გამოვლენა.

**(მხოლოდ იმ შემთხვევაში გადადით ამ სექციაზე, თუ დრო დაგრჩებათ)*

10. **კოვიდ პანდემიის პერიოდზე ფიქრისას, იმ საინფორმაციო საშუალებებში, საიდანაც ახალ ამბებს იღებდნენ, გახსენდებათ თუ არა ისეთი ინფორმაცია/ახალი ამბავი, რომელიც შეუსაბამოდ ან ყალბად მოგეჩვენათ?** (მაგალითად, კორონა ვირუსთან, ვაქცინებთან ან ლუგარის ლაბორატორიასთან დაკავშირებით.)

- რამ მიგანიშნათ, რომ ეს ინფორმაცია შესაძლოა ყალბი ყოფილიყო?
- გადაამოწმეთ თუ არა ინფორმაციის წყარო? როგორ?

11. **თქვენი აზრით, საიდან მოდის ყველაზე მეტი ყალბი ინფორმაცია/სიახლეები? ტელევიზიიდან, სოციალური მედიიდან, ფეისბუკიდან?**

- ყველაზე მეტად ვისზე მოქმედებს ყალბი ინფორმაცია/ახალი ამბები? ვინ არის ყველაზე მოწყვლადი ამ კუთხით?

IMS (საერთაშორისო მედიის მხარდაჭერა) მედიის განვითარების ყველაზე დიდი ორგანიზაციაა სკანდინავიის ქვეყნებში. ეს ორგანიზაცია ორი ათწლეულის განმავლობაში მხარს უჭერს დამოუკიდებელ მედიას იქ, სადაც ის ყველაზე დიდი რისკის ქვეშ არის.

ჩვენ ვამყარებთ პარტნიორობას, რათა დავეხმაროთ ჟურნალისტებს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ისტორიების გაშუქებაში. ჩვენ ვცდილობთ ხელი შევუწყოთ ხარისხიან ჟურნალისტიკას, ვუპირისპირდებით რეპრესიულ კანონებს და ვიცავთ ყველა სქესის მედია მუშაკების ინტერესებს, რათა მათ შეძლონ თავიანთი სამუშაოს შესრულება. ალიანსებისა და ინოვაციების საშუალებით ჩვენ ვეხმარებით დამოუკიდებელ მედიას პოზიტიური ცვლილებებისა და უკეთესი საზოგადოების განვითაებაში წვლილის შეტანაში.

IMS

GOOD JOURNALISM | BETTER SOCIETIES

CRRC-საქართველოს შესახებ

CRRC-საქართველო არის არაკომერციული კვლევითი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი მონაცემების ხელმისაწვდომობას საზოგადოებრივი სიკეთისთვის. ორგანიზაციის მისიაა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხების შესახებ მტკიცებულებებზე დაფუძნებული დისკუსიის ხელშეწყობა სანდო, უახლესი, და ხელმისაწვდომი მონაცემების შეგროვებითა და ანალიზით.

CRRC GEORGIA | CAUCASUS RESEARCH RESOURCE CENTER

This study is made possible by the support of IMS(International Media Support) within Coalition to Outperform Disinformation in the Eastern Partnership (CODE) Project. It was prepared by Caucasus Research Resource Center - Georgia (CRRC) with input from the stakeholders in CODE project and does not necessarily reflect the views of IMS.

© 2024 IMS
Except where otherwise noted, content in this study is licensed under a Creative Common Attribution 4.0 license

Cover page artwork: Liliia Liutko | Affiliated to IMS.